წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. შაბათი, 1917 წ. მაისის 20 (2)

# საქართველო

ხელის მოწერა და ლასამეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.
ტელეფონი 15—73.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] რეზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღდირ. მეტი. დამატებიანი № ღირს უცვლელად 10 კაპ.

№ 107 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 107

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

მაისის 28, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

### ყრილობის წეს-რიგი.

I. საპროგრამო საკითხები:

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

II. სატაქტიკო საკითხები:

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ჱ. საქართველოს სა პოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

III. საორგანიზაციო საკითხები:

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

შაბათს, 20 აპრილს, სოფელ მუხრანში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფის

**არჩილ მარინაშვილის**

სულის მოსახსენებლად.

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მშობლები: მღვდელი გიორგი მარინაშვილი, ნატალია მარინაშვილისა; ძმები: მირონი, ალექსანდრე, დავითი, შალვა და გრიგოლი; დები: მინადორა სმირნოვისა, მარიამ იანქოშვილისა.

2—648—2

გულმოკლულნი: გიორგი, მარიამ, მიხეილ ბუჩუკურები და მართა გუგბერიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი ორნი უძვირფასესის ქალის, მესამე დაუვიწყარი დის და მეოთხე ძვირფასი შვილის-შვილის

**ნინას**

უდროვოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი შაბათს, საღამოს 6 საათზედ, დაკრძალვა კვირას, 21 მაისს, დაბა სურამში საკუთარი ბინიდან.

1—652—1

## ქუთაისის თავად-აზნაურთა სამეურნეო ბანკი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა

## მორიგი კრება

მოხდება ქალ. ქუთაისში, ბანკის შენობაში, 1917 წ. მაისის 28, დილის 10 საათზე.

ბანკის წესდების მე-89 მუხლის თანახმად კრება კანონიერი იქნება, რწმუნებულთა რიცხვის მიუხედავად.

კრების განსახილველი კითხვებია:

1) ბანკის ოპერაციების ანგარიში 1916 წ. განმავლობაში. მოხსენებას წაიკითხავს ზედამხედველი კომიტეტისა და დამფასებელ კომისიის წევრები.
2) ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეთა შეერთებული მოხსენება საზოგადო თანხის განაწილების შესახებ.
3) ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
4) მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ.
5) ბანკის გამგეობის მოხსენება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შესაცვლელად.
6) შეერთებული მოხსენება ბანკის ოპერაციების გასაფართოვებლად.
7) ბანკის 1917 წ. ხარჯთაღრიცხვის განხილვა.
8) სათანამდებო პირთა ამორჩევა იმ ადგილებზე, რომელნიც უკვე განთავისუფლებულია: ზედამხედველ კომიტეტის 4 წევრისა, გამგეობის 2 წევრისა და ერთიც გამგეობის კანდიდატისა.

3—695—2

## ქართული თეატრი

(ახალი კლუბის საზამთრო თეატრი)

კვირას, მაისის 21, ვალ. შალიკაშვილი გამართავს მხიარულ საღამოს.

**წარმოდგენილი იქნება:**

I. პირველად თბილისში ივ. გომართლის ახალი კომედია. **იასონის ოინები** 2 მოქ.

II. **დარისპანის გასაჭირი** 1 მოქ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობს თბილისის დასი. ✦ ადგილების ფასი 2 მ. 90 კ.-დან, 50 კ.-დე.

თეატრი კლუბისაგან განცალკევებულია.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 2—697—1

## ჩვენი სამშობლო

ძვირფასი და მახლობელი ისე არასდროს ყოფილა

## როგორც ეხლა.

რუსები, ქართველები, სომხები, ებრაელები, ყირგიზები, მაჰმადიანები, პოლონელები, ლიტველები და სხვები

## ეხლა ყველანი ძმები ვართ.

ყველას გვსურს სამშობლოს ბედნიერება და ამ ბედნიერებას ბრძოლის ველზე გამარჯვებაში და შინ წესიერების დამყარებაში ვხედავთ.

ყველა ხელს ვაწერთ

## „თავისუფლების სესხს"

რათა ამით ეს გამარჯვება და ეს წესიერება უზრუნველ ვჰყოთ.

1—693—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

## ხაშურის

სარაიონო კომიტეტი.

კვირას, 21 მაისს, დილის 12 საათზე, დ. ხაშურში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საერთო ყრილობა. ყრილობაზე განხილული იქნება საპროგრამო და სატაქტიკო საკითხები.

დაესწრებიან აგრეთვე პარტიის მთავარ კომიტეტის წარმომადგენლები: სპირიდონ კედია და ლელი ჯაფარიძე.

საქ. ეროვნ.-დემ. პარტიის ხაშურის სარაიონო კომიტეტი.

3—696—2

მოკლე ხანში თბილისში გამოვა

სამხატვრო-სალიტერატურო კრებული



კრებულში მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

მისამართი: თბილისი, რედაქცია „საქართველო"—ე. გუგუშკორს.
რედაქტორები: სანდრო შანშიაშვილი და გ. ლეონიძე.
გამომცემელი ე. ი. გუგუშკორი.

4—688—3

## თბილისი, მაისის 20.

## დამოუკიდებელი პოლონეთი

ვარშავის სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა სახელმწიფოს დროებით მმართველად ისეთი ადამიანი მოიწვიოს, რომელიც ერთ-ერთ ევროპიულ სამეფო გვარეულობას ეკუთვნის, რწმენით კათოლიკეა და პოლონურ ენას ლაპარაკობს. აღმოჩნდა, რომ ასეთი ადამიანი ყოფილა ერცჰერცოგი კარლოს-სტეფანე, ადმირალი ავსტრია-ჰუნგრეთის ფლოტისა. ამგვარად შესაძლებელია, რომ ავსტრიელი პრინცი ჯერ პოლონეთის მმართველად გადაიქცევა და შემდეგ პოლონეთის გვირგვინოსანი მეფეთ, თუ პოლონელი ერის მომავალმა, დამფუძნებელმა კრებამ მონარქიული წესწყობილება მიიღო.

ეს გარემოება უეჭველად ცენტრალური სახელმწიფოების პოლიტიკურ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს. გერმანიისა და ავსტრია-ჰუნგრეთის პოლიტიკურ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ვარშავის სახელმწიფო საბჭომ ამ ერთი თვის წინათ გამოაქვეყნა. ეს პოლიტიკური პროგრამა პასუხი იყო რუსეთის დროებით მთავრობის მიმართვისა პოლონელი ერისადმი. როგორც ცნობილია, ამ მიმართვაში რუსეთის დროებითი მთავრობა აღიარებდა პოლონეთის დამოუკიდებლობას; მაგრამ ამასთანავე ის მოუწოდებდა მოძმე სლოვენურ ერს მილიტარული კავშირი შეეკრა რუსეთთან გალიციისა და პოზნანის დასაბრუნებლად.

პეტროგრადის დროებითმა მთავრობამ ვარშავის სახელმწიფო საბჭოსაგან საკმაოდ მკვახე პასუხი მიიღო. ამ პასუხის დედა-აზრი დაახლოვებით შემდეგი იყო: პოლონეთის ერმა თვით უკეთ იცის ვისთან იქონიებს სამხედრო კავშირს; არავის უფლება არა აქვს პოლონეთთან შინაური ან საგარეო პოლიტიკაში ჩაერიოს. რაც შეეხება კერძოდ გერმანიისა და ავსტრია-ჰუნგრეთის წინააღმდეგ გალაშქრებას, პოლონელი ერი ვერასოდეს ასეთ უმადურობას ვერ გამოიჩენს თავისი განმანთავისუფლებლების წინააღმდეგ; ამას გარდა რუსეთსა და პოლონეთს შორის არსებობს სადაო ტერიტორია, რომელიც ისტორიულად პოლონეთთან იყო შეკავშირებული, ამ ტერიტორიის გამიჯვნა ორივე დაინტერესებული მხარის დასტურს მოითხოვს; პოლონეთის დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველყოფილ იქმნას კონსტიტუციური მონარქიისა, ძლიერი მთავრობისა და მრავალრიცხოვანი ჯარის შემწეობით.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში პოლონელმა ერმა, როგორც სჩანს, მართლაც საკმაოდ ძლიერი ჯარი გაწვრთნა და დარაზმა. ამ გარემოებამ შეამსუბუქა ცენტრალური სახელმწიფოების მდგომარეობა ბრძოლის ასპარეზზე. აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელები და ავსტრიელები აქამდე არსებითად პოლონეთის მიწა-წყალს სდარაჯობდნენ, ახლა კი მათ შეუძლიათ სამშობლოს თავდაცვა თვით პოლონეთის ეროვნულ ლაშქარს მიანდონ. სხვა არა იყოს რა რუსის რევოლუციური ჯარი არც ისურვებს ხელახლა შეესიოს პოლონეთს, რომლის დამოუკიდებლობა თვით გუჩკოვებმა და მილიუკოვებმაც კი აღიარეს.

როგორც შვეიცარიიდან მოსული ცნობა იუწყება, გენერალს ბეზელერს ვარშავის სახელმწიფო საბჭოში განუცხადებია, რომ გერმანელები უკან დაიხევენ მდინარე ბზურისა, რავკისა და ნარევის ნაპირებამდე. უეჭველია, რომ გერმანელები საომარ ხაზის შემოკლებას სცდილობენ, რათა ზედმეტი ჯარი დასავლეთის ასპარეზზე გადასხან. თუ მათი გეგმა განხორციელდა, ინგლისს-საფრანგეთის ჯარი საფრთხეში ჩავარდება, პოლონეთის თავისუფლება კი თვით პოლონელ ერის ხელში გადავა.

## პოლიტიკური ოცნება და ეკონომიური სინამდვილე

აბა ვინ იფიქრებდა, თუ რუსეთში 150 მილიონი მონარქისტი ერთი დღის განმავლობაში უკიდურესი რესპუბლიკანელი და სოციალისტი გახდებოდა? რევოლუციას, საზოგადოდ, მრავალი მოულოდნელება სჩვევია, მაგრამ ასეთს საკვირველობას, ალბად, არავინ მოელოდა. რუსეთის ძველი წყობილების დანგრევა თითქმის უდავოთ მოხდა. მოსალოდნელი კონტრ-რევოლუცია საბედნიეროთ არსად სჩანს, თუმცა რუსეთის ზოგიერთი კუთხე ამისთვის ფრიად ხელსაყრელ პირობებს იძლევა. ამისდა მიუხედავად ჩვენ ყოველს წამს კონტრ-რევოლუციას ვიხსენებთ. ალბათ იმიტომ, რომ კონტრ-რევოლუცია თითქმის მუდამ ყოფილა რევოლუციის თანამგზავრი. ვინაიდან განგება ჯერჯერობით ნამდვილ კონტრ-რევოლუციიდან გვიფარავს, ამ სახელს ვუწოდებთ ყოველივეს, რაც ჩვენ არ მოგვეწონება. ყოველი მომქმედი პოლიტიკური პარტია მოწინააღმდეგეთა მოღვაწეობაში, რაც უნდა რევოლუციონური იყოს ის, კონტრ-რევოლუციის ნიშნებს ხედავს. სასურსათო საქმე ისევ რთული და სახიფათოა. გლეხები პურს ბეღლებში მალავენ და გასაყიდათ არ გამოაქვთ. ბევრი ამაშიდაც რევოლუციის წინააღმდეგობასა და კონტრ-რევოლუციის ნიშნებს ხედავს.

მაგრამ ყველა ამაზე უფრო კონტრ-რევოლუციონურად რუსულ ქაღალდის მანეთის მოქმედება უნდა ჩაითვალოს. რევოლუციის პირველს დღესვე მისი ფასი უცბად დაეცა ევროპაში და მას შემდგომ კიდევ უფრო და უფრო ეცემა. რუსეთის მთავრობას თავის მანეთისთვის ერთგვარი ტაქსა ჰქონდა შემოღებული. ფრანკში რუსულ 55 კაპ. მეტის გაღება არ შეიძლებოდა. ეხლა უკვე ფრანკში მთელს მანეთსაც სიამოვნებით აძლევენ, მაგრამ მას ამ ფასადაც ვერ შოულობენ. თვით ფინლიანდიის ბანკებში რუსულ ფულს 200 მანეთის მეტს არ ღებულობენ. ამავე დროს მოკავშირეებთან განწყობილება შეიცვალა და იმათგან რაიმე ფინანსიური დახმარება უკვე მოსალოდნელი არ არის. ამერიკა ხუთ მილიარდ სესხს ჰპირდებოდა რუსეთს და აქედან მხოლოდ 200 მილიონი გამოიღო. ალბათ ესეც ძველი ვალების სარგებელში დაიტოვა. ამერიკაში კი ამ ომის განმავლობაში აუარებელი კაპიტალი დაგროვდა. იტყობინებიან—ოქროს ფასი დაეცაო.

რუსეთის ფინანსიური გასაჭირი კიდევ უფრო რთულდება იმ გარემოებით, რომ რევოლუციის დაწყების შემდგომ სხვა და სხვა საბიუჯეტო გადასახადების შემოსვლა თითქმის სრულიად შეწყდა. რუსეთის მოქალაქემ თავისუფლება ჯერ-ჯერობით ისე გამოიყენა, რომ რევოლუციონურ მთავრობას არსებობის სახსარს უსპობს. ეხლახან გამოშვებული თავისუფლების სესხიც საკმაოდ არ საღდება. ამრიგად, რევოლუციონური რუსეთი, როგორც შინ ისე გარეთ, მეტად სახიფათო ფინანსიურ გასაჭირს განიცდის.

ახალი მთავრობის ერთად-ერთი სახსარი ქაღალდის ფულის საბეჭდავი დაზგაა. ამ დღეებში მინისტრი შინგარიოვი თვალ-ცრემლიანი ამტკიცებდა: „როდესაც გადასახადებს არ იხდიან, და „თავისუფლების სესხი" არ საღდება, იძულებული ვართ ქაღალდის ფულის სტამბვას მივმართოთ. ყოველდღიურად ვბეჭდავთ 30 მილიონს, მაგრამ ესეც არ გვყოფნის და რუსეთის მომავალზე სასოწარკვეთილი ფიქრები გვებადებაო".

შინგარიოვი რეალისტია და რუსეთის სინამდვილე მას სასოწარკვეთილების აზრებს ჰგვრის. მაგრამ ასეთი პირები როდი ხელმძღვანელობენ დღეს რევოლუციონურ რუსეთს. რუსეთის დიდი რევოლუციის ბუნებას ჩვენი კეთილშობილი თანამემამულე ირაკლი წერეთელი განასახიერებს. მას უკავია რევოლუციის კვერთხი. წერეთლისთვის კი არ არსებობს შინგარიოვის ცრემლიანი იჭვები. „მე მტკიცედ მწამს, რომ მალე დადგება მომენტი, როდესაც შეთანხმების სახელმწიფოთა დემოკრატია, საერთო ლოზუნგებით გაერთიანებული, შემოერტყმება გერმანიისა და ავსტრია-ჰუნგრეთის ერებს და მოსთხოვს მათ იმ წმინდა მიზნების შეერთებას, რომელთაც ჩვენ ვიზიარებთ," ეუბნებოდა წერეთელი ფრონტის დელეგატებს კოალიციონურ სამინისტროს შედგენის წინა დღეებში, როდესაც რუსეთში ყოველივე არეული იყო და ყველა სასოწარკვეთილებას შეეპყრო. „მე მტკიცედ მწამს, რომ ჩვენ შევძლებთ რევოლუციის გადასროლას ევროპაში და მით ალვ დ გენთ დემოკრატიის საერთაშორისო მშვიდობიანობას", გვარწმუნებს ის.

რომელია მართალი—რევოლუციის ბელადი წერეთელი, თუ იჭვით და შიშით შეპყრობილი მინისტრი შინგარიოვი? წერეთელმა რომ შესძლოს და ევროპაში გადისროლოს რევოლიუციური ალი, მოიპოვება განა იქ ისეთი ადვილად ფეთქებადი მასალა, რომელიც ამ ალს დიდ რევოლიუციონურ ცეცხლად აქცევს? ევროპის ერებს დიდი ხანია დაუმყარებიათ ის მოქალაქეობრივი თავისუფლება, რომელიც უნდა განამტკიცოს რევოლუციამ რუსეთში. თავისუფლების გარდა ევროპის ერებს შეუქმნიათ მშვიდობიანი, მყუდრო ცხოვრება და ერთგვარი ქონებრივი კეთილდღეობა. რა უნდა მისცეს მათ ახალმა რევოლუციამ, რომ მათ ეს კეთილდღეობა გასწირონ? რევოლუციურ სენით ერთ ხანს ისინიც შეპყრობილი იყვნენ, მაგრამ ეს მათ დიდი ხანია მოიხადეს.

თუ აქ რუსეთის რევოლიუციონერების გადაჭარბებული იმედები მოსალოდნელია რომ არ გამართლდეს, შინაურ ცხოვრებაში მათი ოპტიმიზმი კიდევ უფრო გადაჭარბებულია. წერეთელი დიდი უტოპისტია, მისი ამხანაგი სკობელევი კი ბევრად პატარა. მაგრამ აი რას ამბობს ის რუსეთის ფინანსიურ გასაჭირზე: „ხაზინას ფული არა აქვს, მას აქვს მხოლოდ ქაღალდის ნიშნები. ვფიქრობთ შეუბრალებლივ დავბეგროთ წარმოებები და წარმოებათა მოგების სრულს 100% კონფისკაცია უყოთ. კაპიტალმა უსასყიდლოდ უნდა იმუშაოს ხაზინის სასარგებლოდ". შრომის მინისტრს ჰგონია, რომ ეკონომიურ განვითარების კანონებსაც ადვილად დაამარცხებს, დაიმორჩილებს. ალებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცემობისა და მრეწველობის მთელი მოგება უნდა ჩამოერთვას მწარმოებელთ და მათ ტყვილა უნდა გასწიონ წარმოების ყოველგვარი ხიფათი, რისკიო... ან რომელი წარმოების მოგების კონფისკაციით უნდა გაამდიდროს შრომის მინისტრმა ხაზინა? რუსეთში მუშებს რომ დღემდის მოთხოვნილება აქვთ წარდგენილი სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ თვიურად 240 მილიონამდე ახალს ბეგარას ადებს რუსეთის წარმოებას. რუსეთის ზოგიერთ ქარხნებში მუშებს დღიურად უკვე 22 მან. ეძლევათ. გაზეთ „რეჩის" გამოანგარიშებით ერთი წლის განმავლობაში ეს წალეკავს არამც თუ მთელს სავაჭრო-სამრეწველო მოგებას, არამედ რუსეთის მთელს კაპიტალს. წლის თავზე, მაშასადამე, რუსეთს, შესაძლოა, შერჩეს დახურული ქარხნები და ჯიბე ცარიელი კაპიტალისტები, რომელთა მოგების ასი პროცენტიც უკვე ხაზინას ვეღარ აავსებს.

ან იქნებ საჭიროც არ იყოს კაპიტალი, ქარხანა-მანქანები და მწარმოებელნი? დღეს რუსეთში ბევრი მაქსიმალისტი და ლენინისტია. სადღაც მუშებმა კიდეც ჩამოართვეს ქარხანა მწარმოებელს და სოციალისტური წარმოების განხორციელებას შეუდგენ...

რუსეთი მეტად სახიფათო ეკონომიურ ვითარებას განიცდის. მის ვალები 55 მილიარდს აღწევს და მთელი მისი სიმდიდრე კი, მეცნიერთა გამოანგარიშებით 60 მილიარდს თუ შეადგენს. ასეთი ბალანსი სანუგეშო არ არის. რუსეთის ერთად ერთი ხსნა საწარმოვო ძალთა გამოფხიზლება-აღორძინებაშია. მოქალაქობრივი თავისუფლების დამყარებას ამისთვის ხელი უნდა შეეწყო. ამის ნაცვლად რევოლუცია ისეთს ფორმას ღებულობს, რომ რუსეთის მრეწველობაში გაძლიერების ნაცვლად სალიკვიდაციო სული დატრიალდა.

რევოლუცია ძლევა-მოსილი იყო სანამ ის ძველს რეჟიმს არღვევდა, მაგრამ ის სასტიკად დამარცხდება, თუ ეკონომიურ განვითარების კანონებს გადაელობება.

ა. ახათიანი.

## აფხაზეთისათვის

მაისის ოცდაოთხს სოხუმში აფხაზთა საეკლესიო კრება არის დანიშნული. კრება სამღვდელოც არის და საეროსკაცოც. კრებამ აფხაზეთის ანუ „სოხუმის" ეპარქიის საეკლესიო ბედი უნდა გადასწყვიტოს. ავტოკეფალიის ძირითადი დებულება ამ საქმეს აფხაზებს ანდობს.

აფხაზეთის საეკლესიო „თვითგამორკვევის" და ორიენტაციის საკითხი მარტო ეკლესიური საკითხი კი არ არის, იგი იმავ დროს ეროვნულ-პოლიტიკური საკითხია, როგორც ქართველთათვის, ისე თვით აფხაზთათვის. ვინც აფხაზეთ-სოხუმის ეპარქიის ჩამოშორებას სცდილობდა ქართული ეკლესიისაგან, ის ყოველთვის საქართველოს მტრობდა და მარტო ქართველ მღვდელს კი არა, ქართველ გლეხსაც სდევნიდა, კერძოდ მეგრელს. ასე ყოფილა და ასე იქნება.

გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ამ საკითხში, რასაკვირველია, თვით აფხაზთა თვალსაზრისი. მოვიგონოთ ამიტომ ის „მცირედი განმარტება აფხაზთა მოთხოვნილებათა შესახებ", რომელიც შარშან ამ დროს „საქართველოში" იყო დასტამბული. ეს წერილი აფხაზთა მეთაურ წრის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა: თ. მელიტონ ემუხვარს და თ. პეტრე ანჩაბაძეს. წერილი აფხაზთა „საკუთარი ადმინისტრატიული მართველობის მოპოების საქმით" იყო გამოწვეული და შიგ საკმაოდ ნათლად იხატება აფხაზთა გულისნადები.

თუ ამ წერილის დედა აზრს მივყვებით, აფხაზები გვეუბნებიან: „ჩვენი სურვილია შევინახოთ ენა და განსაკუთრებული თვისება... ჩვენი თვითარსებობის წინააღმდეგ ბევრნაირი ხიფათია, მაგრამ ყოველივე საშუალებით ვიბრძვით არსებობისთვის... ჩვენ გვინდა ისეთი ადმინისტრატიული და თუ შესაძლებელია, საერობო მართველობაც, რომელიც განსაკუთრებულად იზრუნებს სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვის"... ქართველებთან განწყობილება კი წერილის ავტორთ ასე ესმით: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებულნი მოძმე ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყობენ შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურობა. ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველობასთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით ქართველ მოღვაწეებთანაო"...

ასე კარგად სწყვეტდნენ ქართულ-აფხაზურ კითხვას აფხაზთა წარმომადგენელნი შარშან ძველი რუსეთის მთავრობის საერობო კანონის მოლოდინში.

დღეს სხვა რუსეთია და სხვა კანონებსაც ველით. დღეს ერობის ბედი კი არა, ეროვნობის ბედი სწყდება. ავტოკეფალია ხომ მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდ საკითხისა, რომელსაც საქართველოს პოლიტიკური და თუ გნებავთ საერთაშორისო საკითხიც ჰქვიან და რომელიც ჯერ-ჯერობით „ავტონომიის" სახელით ითქმის. ავტონომიის განხორციელება მარტო მისი ძალა-უფლებით, კომპეტენციით კი არ არის საგულისხმო, არამედ იმ მიწა-წყალითაც, იმ ტერიტორიით, რომელზედაც ეს ძალა-უფლება უნდა მოქმედებდეს. ერთად ერთი ეროვნული ქართული თვალსაზრისი ამ საქმეში ბუნებრივ ისტორიულად, ეკონომიურ—კულტურულად შედუღებული საქართველოა.

მთლიან საქართველოს თავისუფალ განვითარებას ჩვენს მეზობლებში ბევრი მტერი ჰყავს და სწორედ ესენი არიან საქართველოს განაპირათა ბედის უკუღმა დატრიალებას რომ ესწრაფვიან. ესენი არიან სექმეს რომ ჰრეცვენ როგორც აფხაზეთში, ისე აჭარაში და თვით სვანეთშიაც კი.

აფხაზებს მტერი ჩასჩურჩულებს: „თქვენ აფხაზები ხართ, აფხაზეთი არასოდეს საქართველო არ ყოფილა, მეგრელები მუდამ თქვენი მტრები იყვნენ, თუ საქართველოს ავტონომია ექმნა და თქვენ მის საზღვრებში შეხვალთ სრული განადგურება მოგელითო. პირ-იქით, თუ საქართველოს ჩამოშორდებით, მაშინ მეტი ფასი გექნებათო"... მობეზრებული სიტყვით რომ ვსთქვათ, ამას „პროვოკაცია" ჰქვია და ამ პროვოკაციასთან ბრძოლა თვით აფხაზებს ჰმართებსთ.

ქართველობის აზრი იქით არის მიმართული, რომ იმ უცხო ელემენტების მეცადინეობა, რომელნიც ქართველებსა და აფხაზებს შუა ჩამდგარან და ყოველ ღონეს ღონობენ, რომ დაარღვიონ ჩვენს შორის საუკუნოებით განმტკიცებული პოლიტიკური და კულტურული ერთობა გაძლიერდეს და ძმენებელი აღარ იყოს.

აფხაზეთის ნატიანე ბევრს გაკვეთილს გვაძლევს უცხოელთა და ქართველთა „შედარებითი შეფასებისთვის".

როცა აფხაზეთს ბერძნები ჰფლობდნენ მთელი მათი პატრონობა კოლონიიდან პურისა და ჯანსაღ-ლამაზ ხალხის გაზიდვით იხატებოდა. რომაელთ რომ აფხაზეთი დაიპყრეს, ყაჩაღთა გადასასახლებელ აგარაკად აქციეს; მხოლოდ შუა საუკუნეში ეღირსა აფხაზეთს საქართველოსთან ერთად თავისუფალი სახელმწიფოებრივი განვითარება. ბიჭვინთის, დრანდის და ილორის ტაძარნი სწორედ ამ ქართული დროის დაერის დიდებული ნაშთებია.

როცა „შვილდოსნობით ქებულ" აფხაზებს და ქართველებს ერთი სახელმწიფო ჰქონდათ, მაშინ ეკლესიაც ერთი იყო. ამიტომ გიორგი მთაწმინდელი რომ ანტიოქიის პატრიარქის წინაშე ქართულ ეკლესიის თვითმწყობის უფლებას იცავდა, იმ საბუთიდაც ამტკიცებდა: „ერთი მოციქულთაგანი, სიმონ კანანელი, ჩვენ ქვეყანაში, აფხაზეთში არის დამარხულიო".

მონღოლთაგან დაუძლურებული საქართველო მე-15-ე საუკუნეში რომ დაიყო, აფხაზეთი ოსმალეთის სამფლობელო გახდა. ოსმალთაც, ძველი ბერძნების არ იყვნენ, გარდა სატუსაღო ციხეების შენებისა და ხალხის გაზიდვისა მეტი სურათები არ გადუშლიათ აფხაზეთის ცის ტატნობზედ. 1810 წლიდან აფხაზეთი საქართველოსავით მოტყუებულ იქმნა ოომახოვთა რუსეთისაგან. ძველი მთავრობა მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ქართველები და აფხაზები ერთმანეთს მოშორებოდნენ, ამიტომ იყო რომ სამურზაყანო ქუთაისის გუბერნიის სამეგრელო-სენაკის მაზრას მოსჭრეს და აფხაზეთს მიაწერეს, თვით აფხაზეთის საუკეთესო და კულტურისათვის ყველაზედ უფრო გამოსადეგი და ჯანსაღი ჩრდილო ნაწილი, სოჭის ოლქი კი მოსჭრეს და ჩერქეზეთის ძვლებზე ნაშენებ რუსულ „ჩერნომორის" გუბერნიას მიაწერეს. თვით სოხუმის ოლქშიაც მოსვენებას არ აძლევდნენ აფხაზებს. რუსული კოლონიზაციით და იქამდე მიიყვანეს ისინი, რომ წარსულ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს აჯანყეს და მერმე თითქმის ნახევარს კარი უჩვენეს ოსმალეთისაკენ. აფხაზეთი, ისე, როგორც აჭარა „რუსულ რივიერად" მონათლეს და მომავალ რუსულ „მონაკოს" მოლოდინში მარტო სოხუმის ოლქში მრავალი ათასი ხეჭერი მიწა მიუზომეს რუსებს.

ასეთია ისტორიის გაკვეთილი.

დღეს სიტყვა აფხაზებს ეკუთვნის, იმ აფხაზებს, რომელნიც ტომითაც და ენითაც ქართველებს ენათესავებიან და რომელთა სულიერი კულტურა ყოველთვის ქართული სიტყვით და ქართული წიგნით ვითარდებოდა. ამიტომ ამბობს ვახუშტი: „აფხაზებმა ქართული წარჩინებულად იციანო"; დღევანდელ აფხაზთ სჯული სამგვარი აქვთ: ქრისტიანებიც არიან, მაჰმადიანნიც და კერპთმსახურნიც, მაგრამ მათი ქრისტეც და მათი მაჰმადიც ისევე ქართული უნდა იყვნენ, როგორიც იყო ძველი ქართული არმაზი.

ასეთია საკითხი სამკვიდრო აფხაზეთისა; მაგრამ „სოხუმის ოლქში", მარტო აფხაზეთი ხომ არ არის. აქ არის წმინდა მეგრელებით დასახლებული სამურზაყანო, რომელიც შეიძლება ერთ დროს მართლაც სა-მურზაყანო—(სა-დადიშქელიანო) იყო, ახლა კი მარტო საქართველოა; ეს ერთი იმ სახელოვან ქართულ მხარეთაგანია, სადაც ბატონყმობას ვერასოდეს ფეხი ვერ მოუკიდნია და „თვით აფხაზეთში რამდენია მეგრელ-ქართველთა სოფლები, რამდენია ისინი ჩასახლებული თვით აბხაზების სოფლებში? ქალაქი სოხუმი და დაბები ოჩამჩირე-გუდაუთა. სულ მცირე, ამ ადგილებში არა ნაკლებ ოცი ათასი სული ქართველი იქ ნებოდა 1897 წელს". ეს ანგარიში პატივცემულ აკაკი ჩხენკელს ეკუთვნის და ეს ხომ იმას გვიკარნახებს, რომ სოხუმის ოლქის ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ კავშირს საქართველოსთან აუცილებლად ჰქმნის მარტო ის ფაქტიც, რომ სოხუმის ოლქში სოც.-დემ. ანგარიშითაც უმრავლესობას ქართველობა შეადგენს.

ისტორიას თავისი კანონები აქვს. ერთი ამ კანონთაგანი ამბობს, რომ ყოველმა ჯანსაღ ერმა უნდა მოიპოვოს საკუთარი სახელმწიფოებრივი გამგებლობა თავის ბუნებით, ისტორიით და კულტურით ჩვეულ ტერიტორიაზედაო. თუ ეროვნულ სხეულს რომელიმე ნაწილი მოაშორეს, ადრე თუ გვიან, ეს უკანონობა აღმოიფხვრება და ერის ტანი კვლავ გასწორდება. ასე ყოფილა და ასე იქნება.

აფხაზეთი, ისე, როგორც სამურზაყანო მხოლოდ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ კავშირით არის უზრუნველყოფილი!

აფხაზეთის საეკლესიო „თვითგამორკვევა" პირველი საფეხურია პოლიტიკური თვითგამორკვევის და ამიტომაც ისიც ქართულად უნდა გადასწყდეს, ადრე თუ გვიან.

გრიგოლ ვეშაპელი.

# რევოლუცია

## დეპეშები

### სვიატოპოლკ-მირსკის მამულის აოხრება.

მინსკი. მაისის 11. (მიღებულია ფოსტით). ნოვოგრუდის მაზრაში ჯარის კაცებმა თ-დ სვიატოპოლკ-მირსკის მამული ააოხრეს. სარდაფში აუარებელი ღვინო და სპირტი იპოვეს და ლოთობა დაიწყეს. მინსკიდან გაგზავნილმა ჯარისკაცთა დეპუტატებმა ვერავითარი გავლენა ვერ იქონიეს.

### საექსპერიმენტო პედაგოგიკა.

პეტროგრადი, მაისის 16. მაისის 23-ს დაიწყობა სრულიად რუსეთის საექსპერიმენტო პედაგოგიის წარმომადგენელთა ყრილობა.

### სრულიად რუსეთის აფიცერთა ყრილობა.

პეტროგრადი, მაისის 16. სრულიად რუსეთის აფიცერთა ყრილობა ომის საკითხის გარჩევას შეუდგა. მოხსენება პოდპოლკოვნიკი გრუზინი კითხულობდა. მომხსენებელი ყრილობას მხურვალედ მოუწოდებდა საიერიშოდ რადგან ლაშქრის ერთ ადგილზე დგომა სიკვდილი და დაღუპვააო. და ურჩია ყრილობას შემდეგი რეზოლუცია მიეღოთ: ყრილობა მიესალმება დროებითი მთავრობის ძმობისა და ზავის სურვილს და საჭიროდ სცნობს: რადგან ამ წუთს ლაშქრის უსაქმობა თავისუფალ რუსეთს საფრთხეს უმზადებს იმით, რომ გერმანელები ნაწილ-ნაწილ დაამარცხებენ მოკავშირეებს და შემდეგ ჯერი რუსეთზე მიდგება და რადგან „სიტყვათა დრომ" განვლო და მოქმედების დრო დადგა, რათა გერმანეთის მთავრობას რუსეთის ხალხის სურვილი: „ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ხალხთა თვით გამორკვევის ფუძეზე" თავს მოვახვიოთ—ამისთვის საჭიროა მტერთან მედგარი იერიშების მიტანა, რომელიც თავდებია სიცოცხლისა და გამარჯვებისა. აქ რუსეთის ხალხი თავის ნებას გამოიჩენს. ჩვენ ხალხის სახელისათვის მოგიწოდებთო.

### კოზმინის განცხადება.

პეტროგრადი. მაისის 16. პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსის თანაშემწემ კოზმინმა განაცხადა: ჩვენი უმთავრესი მიზანია ხალხის, დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარების სურვილს დამფუძნებელ კრებამდე ხელი შევუწყოთო. ეს ხელის შეწყობა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ძლიერი დისციპლინის ჯარი გვეყოლებაო. ჩვენში კონტრ-რევოლიუცია არ არის, მაგრამ მაინც თავისუფლებას საფრთხე მოელის. ჯარი აწეწილია და ჩვენი მიზანი ამ აწეწილობის მოწესრიგებაა. ზავის საკითხში არმიამ დამოუკიდებლობა უნდა გამოიჩინოსო. თუ საჭიროა იერიში, ჯარმა იერიში უნდა მიიტანოსო. ამ ჟამად კი გერმანეთის დემოკრატიის გონებას ვილჰელმი ეპატრონება და ვიდრე ვილჰელმი და ჰინდენბურგი ჯარს სათავეში უდგანან, ჩვენი არმია მზად უნდა იყვესო. (გაგრძელება ჯერ არ მოგვსვლია).

### ახალი თანამდებობა.

პეტროგრადი, მაისის 15. დროებითი მთავრობის საქმეთა ყოფილი მოურავი ნაშოკოვი იურიდიულ განყოფილების წევრად დაინიშნა.

### კოკოშკინის წასვლა.

პეტროგრადი, მაისის 15. კოკოშკინის წასვლის გამო დამფუძნებელი კრების მოწვევის კომისიის საქმეებს დროებით ბარონი ნოლდე განაგებს.

### სხდომა დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ.

პეტროგრადი. მაისის 15. დღეს მოხდა იურიდიული განყოფილების სხდომა დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ. დღის წესრიგი მაისის 25 შემუშავდება, როდესაც საგანგებო კრება დაიწყება საპოლიტიკო ორგანიზაციების დელეგატების თანადასწრებით. დადგენილების თანახმად თავდაპირველად არჩეული იქნება პრეზიდიუმი. პრეზიდიუმში იქნებიან: თავმჯდომარე, ორი მისი ამხანაგი და ორი მდივანი. შემდეგ წაკითხულ იქნება მოხსენება პროპორციალ არჩევნების შესახებ და არჩეული იქნება დამხმარე კომისია. კომისიის პირველი მოვალეობა იქნება აუწყოს ვისაც უფლება ექნება დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და არჩევნების მოწყობის გეგმის შედგენა.

### 12,000 დეზერტირი.

კიევი, მაისის 15. გუშინ გათავდა უკანასკნელი ვადა დეზერტირების თავის ნებით გამოცხადებისა, მაგრამ დეზერტირები არ გამოცხადებულან. ამიტომ დღეს ქალაქში ჩხრეკა იყო ჩხრეკაში მონაწილეობა მიიღეს მილიციის გარდა პრაპორჩიკების სკოლის მოწაფეებმა და ჯარის კაცებმა. საშუალოდ ქალაქში 12,000 დეზერტირი დაიჭირეს.

### თანამდებობიდან გადაყენება.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მაისის 15. დაბა მალინოვკის გლეხობამ თავის ნებით თანამდებობიდან გადააყენა ნოვო-ლომბოდის საგლეხო ბანკის გამგე—ძველი რეჟიმის კაციაო. ბანკის გამგემ გუბერნიის კომისარს დახმარება სთხოვა.

### ცარიცინის ამბები.

ცარიცინი, მაისის 16. მომხდარ ამბების გამო დოგოროვის რაიონს ჯარი იცავს. ჩხრეკა და დაპატიმრება გახშირდა. გუშინ გაჩხრიკეს და დააპატიმრეს ორი გამოქცეული კატორღელი.

### ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

რიბინსკი. მაისის 15. გაიმართა მრავალ-რიცხვოვანი მიტინგი ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

### ფლოტთა წარმომადგენელი ლებედევი.

რეველი. მაისის 16. ყველა ფლოტთა წარმომადგენლების კომისიის თავმჯდომარემ ლებედევმა ინახულა აქაური გემები, მატროსთა საკრებულო, საზღვაო ოფიცერთა ყრილობა და ქვეითა ჯარის ზოგი ნაწილი. ყველგან სიტყვა სთქვა. ყველას დისციპლინის შენახვას ურჩევდა და დროებით მთავრობას დაემორჩილეთო. მის სიტყვას ყველა დიდის აღფრთოვანებით ეგებებოდა.

### მიწის საკითხი გლეხთა ყრილობაში.

პეტროგრადი. მაისის 16. გლეხთა ყრილობა მიწის საკითხს შეუდგა. მომხსენებელი ოგანოვსკი ამტკიცებდა, რომ მიწაზე კერძო საკუთრება შეუძლებელიაო. მიწა ძლიერმა კლასებმა ჩაიგდეს ხელში და ეხლა რევოლუციამ იგი მშრომელ ხალხს უნდა გადასცესო. მაგრამ ამ რეფორმის განხორციელება მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლიანო. ოლქების ანუ ჯგუფების მიერ კერძოობით მიწის ჩამორთმევა შეუძლებელიაო. მიწა დამფუძნებელ კრებამდის ისევ კერძო საკუთრებად უნდა დარჩეს და მხოლოდ დამფუძნებელი კრება გახდის მას საზოგადო საკუთრებათაო. კამათში მონაწილეობდნენ მინისტრები პეშეხონოვი და ჩერნოვი. პეშეხონოვმა გულ-მხურვალედ გააბრთხილა მიწის საკითხში კერძოობით ნუ დაიწყებთ მოქმედებასო. თქმა ადვილია, მიწა მშრომელ ხალხსაო, სთქვა მინისტრმა,—მაგრამ განხორციელება კი ძნელიაო. დიდი შრომაა საჭირო იმის გამოსარკვევათ, თუ ვის უნდა მიეცეს, რამდენი უნდა მიეცეს და როგორ. ამ საკითხების გადაჭრა მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლიანო. ჩერნოვიც ამბობდა, მიწა უნდა განთავისუფლდეს, მაგრამ მხოლოდ კანონმდებლობითაო. ტყუილია, რომ ამბობენ, თუ დიდი მემამულეობა მოისპო, სოფლის წარმოებაც დაეცემაო. განთავისუფლებული მიწა მშრომელ გლეხობის ხელში მხოლოდ აყვავდებაო. ორივე მინისტრს ყრილობამ ოვაციები გაუმართა.

### ადმინისტრაციის გადაყენება.

მინსკი. მაისის 15. სლუცკის სამაზრო ალმ. კომიტეტმა საერობო მართველობის ადმინისტრაცია გადააყენა. მოზირსკის კომისარი ინციდენტის თავიდან ასაშორებლად თანამდებობიდან გადადგა.

### რიბოს დეპეშა.

პეტროგრადი. მაისის 10. (დაგვიანებულია). შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეშჩენკომ რიბოსაგან საპასუხო დეპეშა მიიღო. რიბო ხელახლად არწმუნებს რუსეთის მთავრობას საფრანგეთს რუსეთის დემოკრატიასთან სოლიდარი მიზნები აქვსო.

### ალმ. კომიტეტის მოწოდება.

სამარა. მაისის 15. ბუზულუკის მუშათა და ჯარისკაცთა ალმ. კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ჯარისკაცებს რკინის გზებზე უწესოებანი მოსპეთო.

### საქონლის ჩამორთმევა.

არზამასი. მაისის 15. მემამულეებმა გუბერნიის კომისართან მაზრის კომიტეტს უჩივლეს. მისი დადგენილებით მონასტრისა და კერძო პირთა საქონლის 90 პროც. ჯარის საჭიროებისათვის ართმევდნენ. კომისარმა განუმარტა, რომ კომიტეტის ამგვარი დადგენილება უკანონოაო.

### ხალხის თავისუფლების პარტიის ყრილობა.

კიევი. მაისის 15. დაიწყო ხალხის თავისუფლების პარტიის ყრილობა. სახელმწიფო სათათბიროს წევრმა დემიდოვმა განაცხადა: ომის დაწყებიდან მომქმედ ჯარში ვიყავ და მასთან ერთად ტანჯვა ავიტანეო. ეხლა ჩემთვის აშკარაა, თუ რატომ გახდა ჯარი რევოლუციის ერთგული. დეკემბერში მე მომიხდა პეტროგრადს ჩასვლა. მდგომარეობა ძლიერ ცუდი იყო. ერთი არმიის უფროსმა მითხრა, ამისთანა მთავრობით შეუძლებელია გამარჯვებაო. დიდი ხანი არ არის მას უკან, რაც გენერალ ალექსეევმა განაცხადა: ჯარში გენერლობის ყოფნის დროს მთავრობის ერთი წევრიც არ მენახა და, როცა უმაღლესი დანიშნულება მომცეს და ჩემს წინ მინისტრთა კალეიდესკოპი გადიშალა, საგონებელში ჩავარდიო. შემდეგ რა ჯარის მდგომარეობას დემიდოვმა განაცხადა: ზურგში ბევრს ლაპარაკობენ ჯარის დაქსაქსვაზე. მე თითქმის მთელი ფრონტი მოვიარე და მომეცით ნება დაგარწმუნოთ, რომ ამ ჟამად საერთოდ ჯარი უკეთეს პირობებშია, ვიდრე ძველი რეჟიმის დროს იყო. მხოლოდ ნუ აშინებთ ჯარს. თუ რუსეთი დამარცხდა, დამარცხდება ზურგიდან. ჯარი თავის მოვალეობას შეასრულებსო.

### სამხედრო მრეწველთა ყრილობა.

მოსკოვი. მაისის 16. სამხედრო-სამრეწველო სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა დაიწყო. მოვიდნენ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონოვალოვი და სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბუბლიკოვი. მონაწილეობს 1000 კაცი.

### პუშკინის მამული.

პსკოვი. მაისის 15. ვორონეცის ალმ. კომიტეტმა გადასწყვიტა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ს. მიხაილოვის გლეხებს ნება არ მისცეს ალ. პუშკინის მამულის განაწილებისა.

### ახალი გადასახადი.

ხომბირსკი. მაისის 15. ბოლშოი ბალრის სოფლის კომიტეტმა გადასწყვიტა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებულებს გადასახადი დაადოს.

### ჩხრეკა.

სარატოვი. მაისის 11. (დაგვიანებულია), სამხედრო კომიტეტმა გადასწყვიტა გაჩხრიკოს პოდპორუჩიკ უშაკოვის ბინა, რომელმაც „ჯარისკაცთა ახალი მარსელიოზა" დაბეჭდა. ეს მარსელიოზა „პოგრომს" ჰქადაგობდა.

### რუმინეთის ფრონტის ყრილობა.

ოდესა. მაისის 14. ფრონტის ყრილობამ შემდეგი დაადგინა: ჯარისკაცები მზათ არიან იერიშისათვის და ამას მოითხოვენ კიდევაც. ჯარისკაცები თხოულობენ ქალების მამაკაცებთან გათანასწორებას, მიწას მშრომელ ხალხისთვის, მთავრობის სრულ ნდობის გამოცხადებას, თავისუფლების სესხის განაღდებას და 8 საათის სამუშაო დღეს.

### ახალი პარტია.

მოსკოვი, მაისის 15. გუჩკოვმა განაცხადა, რომ სახელმწიფო სათათბიროს წევრებმა, ოქტომბრისტებმა გადასწყვიტეს ამალი პარტია დაარსონ. პარტიის მიზანია შეაკავშიროს ბურჟუაზიული და დემოკრატიული ელემენტები. ცენტრის კომიტეტმა გადასწყვიტა შეუერთდეს პარტიას.

### მასწავლებელთა ყრილობა

მინსკი. მაისის 15. დაიწყო გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობა; მონაწილეობს 1200 კაცი.

მოსკოვი. მაისის 15. საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა ყრილობამ დაადგინა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის ხალხის მომზადებაში, დაადგინეს, რომ საშუალო სასწავლებელი უნდა იყოს ავტონომიური და დაადასტურეს, რომ ამ ჟამად მხოლოდ სახელმწიფოს ძალუძს მატერიალურად უზრუნველჰყოს სასწავლებელი, ამ თავითვე სკოლის გამოყოფა სახელმწიფოდან საჭიროდ არა სცნეს.

### მღვდლის გადაყენება

მინსკი. მაისის 16. სოფ. მოროჩნოში გლეხებმა გადააყენეს თანამდებობიდან და საეკლესიო სახლიდან გააძევეს მღვდელი, ხოლო მისი მიწები თვითონ გაიყვეს.

### მემამულე იგნატიევის საჩივარი

პეტროგრადი. მაისის 16. ტულის მემამულემ იგნატიევმა იჩივლა გლეხებზე, ლაშქრისთვის დანიშნული 100000 ფუთი პური წამართვესო. იუსტიციის მინისტრმა დეპეშით აცნობა ტულის პროკურორს დამნაშავენი შეიპყარითო.

## გაზეთებიდან.

### გრედესკული კაკი წერეთლის შესახებ.

პროფ. გრედესკული გაზ. „რუსკაია ვოლიას" ფურცლებზე მოგვითხრობს თავისს შთაბეჭდილებებს, რომელიც განიცადა სახელმწიფო სათათბიროს საზეიმო სხდომაზე. კ. წერეთლის შესახებ ავტორი ამბობს: შულგინის სიტყვის შემდეგ წერეთელი—„კეთილშობილი წერეთელი—ესოდენ ცნობილი თავისი გამოსვლებით მეორე სათათბიროში, პირდაპირ მოსწყდა თავისს ადგილს და თითქმის ხტუნვით ტრიბუნას მიაშურა. დიდი ოვაციების შემდეგ, რომელიც მას გაუმართეს, წერეთელმა წარმოსთქვა თავისი ჩვეულებრივი, მჭერმეტყველურ გარეგნობას მოკლებული სიტყვა, რომელიც უზომოდ იზიდავს მსმენელს თავისის „კეთილშობილობით" — კეთილშობილებით აზრისა, კეთილშობილებით მისი გამოთქმისა. ქართველი თავიდან ფეხებამდე, საყვარელ ქართულ აქცენტით იგი კვალ და კვალ უპასუხებდა შულგინს, მხოლოდ ხანდახან მოიმარჯვებდა ისარს, საერთოთ კი, არა თუ არ აძლიერებდა, არამედ აცხრობდა თავისს იერიშს შულგინის წინააღმდეგ. ამას მან ხაზი გაუსვა მეტადრე მაშინ, როცა სთქვა, შულგინს „ხისულელეს" ან „ღალატს" კი არ ვწამებ, არამედ მხოლოდ კლასობრივ „ვიწროობასო."

შემდეგ ავტორი ეხება გუჩკოვსა, სკობელევისა და როდიჩევის სიტყვებს და საერთო დასკვნის შემდეგ დასძენს: „რუსეთის ხსნისათვის როძიანკო არ არის მზად, არ არის მზად მთავრობა, არ არის მზად ნაბოკოვი და ვინავერი, არ არის მზად შულგინი და გუჩკოვი, არ არის მზად სკობელევი და როდიჩევი. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მე ასეთი აზრი გამოვიტანე, რომ ამისთვის ყველაზე უფრო წერეთელია მომზადებული.

როძიანკო ვერ მოშორებია ძველ ჰსიხოლოგიას; თავ. ლვოვი—ნებივრობს; ნაბოკოვი და ვინავერი—ჭკუას ატანებენ ძალას და მჭერმეტყველობენ; შულგინი—მეტად გესლიანია; გუჩკოვი—მეტად მკაცრია; სკობელევი—მეტად უპასუხისმგებლოა; როდიჩევი—მეტად—ვნებიანი. და მხოლოდ წერეთელია შეურყევლად კეთილშობილი.

მის სახეს თვალს ვერ ვაშორებდი. იგი მუდამ შეპყრობილია მოუშორებელი ფიქრით, იგი მუდამ იკრებს თვის ენერგიას. იგი გატაცებულია თვისი ამოცანით და გატაცებულია როგორც პასუხის მგებელი მოქალაქე, როგორც კეთილშობილი კაცი.

# ეროვნული საკითხი

## დეპეშები

**კოკოშკინის მოხსენება**

**პეტროგრადი**, მაისის 11. (მიღებულია ფოსტით) ხალხის თავისუფლების ყრილობაზე კოკოშკინმა მოხსენება წაიკითხა ავტონომიისა და თვითმართველობის შესახებ. „რუსეთში აუცილებელია—სთქვა მომხსენებელმა,—ავტონომიის საკითხი ნაციონალურ საკითხში გამოვყოთ. ავტონომია ჩვენში სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის პრინციპზედ უნდა დამყარდეს და არა ეროვნულს ფედერაციაზე. ფედერაცია ჩვენში შეუძლებელია, იმიტომ, რომ სხვა და სხვა ეროვნება ტერიტორიალურად ფრიად უთანასწოროა. ველიკოროსები 80 მილიონია, უკრაინელები 25. არის კიდევ სხვა ეროვნება, რიცხვით რამდენიმე ათასი. ამ გვარს მდგომარეობაში ძნელია განისაზღვროს ყოველ ფედერაციის კანონმდებლობის უფლებათა კომპეტენციისა. ამიტომ ჩვენ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ მხოლოდ ტერიტორიალურს და არა ეროვნულს ავტონომიაზე. ტერიტორიალური ავტონომია მომხსენებელს ასე ესმის: ყოველს ადგილობრივ წარმომადგენელთა საბჭოს ენიჭება უფლება ადგილობრივ სამეურნეო დ კულტურულ ცხოვრების კანონმდებლობისა ტერიტორიალურად დაყოფის დროს. კოკოშკინს შესაძლებლად მიაჩნია გუბერნიებად და ოლქებად დაყოფით ხელმძღვანელობა, ამასთანავე ამ თვითმართველ ერთეულებს უფლება უნდა ჰქონდეს მუდმივი და დროებითი კავშირების დასაარსებლად ერთმანეთთან შეკავშირებისა. ხოლო ამ ერთეულთა მიწის სამზღვრებს სრულიად სახელმწიფოს კანონმდებლობა განსაზღვრავს. ორატორი ჰშიშობს, რომ დამფუძნებელს კრებაზე ეროვნულს საკითხში უთანხმოება არ მოჰხდესო და არ განმეორდეს 1848 წ. ავსტრიაში მომხდარი ამბავი. მომხსენებელი მომხრეა ორ პალატისა.

**ებრაელთა საკითხი.**

**კიევი.** მაისის 12. ებრაელთა ყრილობაზე კრებამ იურიდიულ პიროვნებად იცნო ებრაელობა. ებრაელთ უნდა ეროვნული ავტონომია მიეცესო.

**მაჰმადიანთა ყრილობა.**

**პეტროგრადი.** მაისის 10. (ფოსტით მიღებული და დაგვიანებულია) მაჰმადიანთა ყრილობამ აუცილებელ საჭიროებათა სცნო საპოლიტიკო და სამოქალაქო უფლებებში ქალთა და მამაკაცთა გათანასწორება და მრავალცოლიანობის მოსპობა.

**გაზეთებიდან.**

**მაჰმადიანთა ყრილობა.**

მაჰმადიანთა ყრილობამ მოსკოვში სამღვდელო მმართველობის თავმჯდომარედ ბორუდი ალიმხანი აირჩია. აზრათა აქვთ აირჩიონ მუდმივი საგანგებო კომისია 30 კაცი, რომლის რიცხვში შუაგულ გუბერნიის მაჰმადიანთა 10 წარმომადგენელი, 6 ყირგიზებისა, 5 კავკასიისა, 6 თურქესტანისა და 2 ყირიმისა იქნებიან. არჩეულნი არიან ახმატოვი, ცალიკოვი, ისკანოვი, მახმუსოვი, კერიმოვი და სხვანი. უმრავლესობა ფედერალიზმის წინააღმდეგია.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი**, მაისის 18. ოფიციალი. დასავლეთისა და რუმინეთის ფრონტზედ ჩვეულებრივი სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** ოსმალების ცდამ, ორი როტა ჯარის ძალით კიალკიტის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენზე იერიში მოტანისამ, უნაყოფოდ ჩაიარა. ბითლისის ჩრდილოეთით გავფანტეთ ქურთების შეიარაღებული ბრბო, რომელიც ჩვენი თხრილების დაჭერასა ჰლამობდა. ვანის სამხრეთით ოსმალები სცდილობდნენ ჩვენი სანგრების დაჭერას, მაგრამ მდ. დიალისაკენ დავახევინეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა მფრინავებმა დაბა როლასთან ლიბავა-რომენისა და ვოიგანო-ბოლაგეო-სედლეცის რკინის გზის სადგურებში ოთხი ყუმბარა ჩააგდეს.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი.** მაისის 15. ოფიციალი. კარსოზე, ჯამიანოს დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ მტრის თხრილები დავიჭირეთ. დუანოს ჩრდილო-დასავლეთით ტიმაზო გადავლახეთ, დაბლობი სენ-ჯიოვანი დავიჭირეთ და მტერს 144 მილიმეტრიან ყალიბის მორტირები წავართვით. გრანიცის სამხრეთით კონტრიერიშების დროს 456 ტყვე წამოვიყვანეთ.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მაისის 15. საღამოს ოფიციალი. შამპანში ორივე მხრის არტილერია ენერგიულად მუშაობდა. ტეტონის რაიონში გაცხარებული ბრძოლაა. დანარჩენგან შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

**ბელგიის ბანაკის ცნობა.**

**ჰავრი.** მაისის 15. ოფიციალი. მაისის 15-ს, ღამე, ჩვენი ჰაეროპლანი თავს დაესხა მტრის სადარაჯოს კლოსტერგუკას რაიონში. დანარჩენ ადგილებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა.

**ბრიტანეთის მთავარ-ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მაისის 15. ოფიციალი. გერმანელთა იერიშებმა შერიზის ჩრდილო-დასავლეთით და ლანსის სამხრეთით უნაყოფოდ ჩაიარეს. ჩვენმა არტილერიამ და ტყვიისმტყორცნელებმა მტერს დიდი ზარალი მიაყენეს. სოვეოლის ჩრდილოეთით ჩვენმა იერიშებმა კარგად ჩაიარა. ვეიტსხოოტეს მახლობლად ჩვენმა ჯარმა მტრის სანგრებს მიაღწია. 30 კაცი დავატყვევეთ.

**ახლო აღმოსავლეთი.**

**პარიზი.** მაისის 15. ოფიციალი. შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

**საფრანგეთის მთავარ-ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მაისის 16. ოფიციალი. იურტებიზის რაიონში, გუშინ ღამ გერმანელებმა ორი იერიში მოიტანეს, მაგრამ უკუვაგდეთ. შამპანში პირუასა და მარონველიეს სამხრეთით სადარაჯო რაზმების შეტაკებაა. მაასის მარჯვენა ნაპირზედ ჩვენმა ბატარეიამ მტრის სანგრებს ყუმბარა დაუშინა. შაროველის ჩრდილოეთით მტრის სადარაჯო დავიჭირეთ. დანარჩენგან მშვიდობიანობაა.

**მფრინავთა მოქმედება.**

**პარიზი.** მაისის 15. ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 7 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს და 12 საგრძნობლად დააზიანეს.

**რიგის ახპარეზი.**

**რიგა.** მაისის 15. სამხედრო მოქმედება თანდათან ცხოველდება. მაისის 13-ს ღამე მიტავისა და ზღვის კიდის მიმართულებით საარტილერიო ბრძოლა დაიწყო. ჩვენმა საველე არტილერიამ ავანპოსტები დაანგრია და ამავე დროს მტრის ბატარეებს ესროდა. გერმანელთა ბატარეებს დიდი ზარალი მივაყენეთ.

**არტილერიის მოქმედება.**

**რიგა.** მაისის 16. ჩვენი არტილერია ენერგიულადა მოქმედობს და მტერს დიდ ზარალს აყენებს.

**ტყვეები გერმანეთში.**

**პეტროგრადი.** მაისის 16. ტყვე გერმანელ ჯარის კაცთა ჩვენებით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გერმანელები რუსის ტყვეებს მკვდარ ცხენის ხორცითა ჰკვებენ.

**დაძმობილების შედეგი.**

**პეტროგრადი.** მაისის 16. კოველსარნის გზის სამხრეთით მაისის 7, როდესაც გერმანელი და რუსის ჯარისკაცები ძმობილდებოდნენ, 43 ჰაეროპლანი გამოჩნდა. ეს იმას ამტკიცებს, რომ გერმანელები დაძმობილებას საჰაერო ზვერვისათვის იყენებენ.

**ავერნიევის ახალი თანამდებობა.**

**პეტროგრადი.** მაისის 15. გენერალურ შტაბის ყოფილი უფროსი ავერნიევი კავკასიის ჯარის სასურსათო უფროსად დაინიშნა.

**სასურსათო კრიზისი ავსტრიაში.**

**ციურიხი.** მაისის 14. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, ავსტრიაში სასურსათო კრიზისიაო. ვენასა და ბუდაპეშტში სულზე 50—100 კრონამდე იძლევიან საჭმელს. პრაგაში რესტორანები დაჰკეტეს. რამდენიმე ადგილას აჯანყებაც კი მოჰხდა. შობამდე მთელი სურსათი გამოილევაო. მუშა ხელისა და საქონლის უქონლობის გამო მოსავალი ცუდი იქნებაო.

**რუსეთის სესხი.**

**ათინა.** მაისის 14. რუსეთის სესხის საქმე კარგად მიდის.

**დეზერტირები.**

**მოსკოვი.** მაისის 16. დეზერტირთა გამოცხადების უკანასკნელი ვადა გუშინ გათავდა. სამხედრო უფროსთან 1,000 დეზერტირი გამოცხადდა.

# რუსეთი და უცხოეთი

**იოხებ კლეინის ფული და პროკლამაცია.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 16. სტოკჰოლმის რკინის გზის სადგურზედ ვინმე იოსებ კლეინი რუსეთის სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკის სახელით რუსეთში მომავალ რუმინელ ემიგრანტებს პროკლამაციებს ურიგებს და მოუწოდებს ზავისა და მოკავშირეებთან განხეთქილებისაკენ. ამას გარდა კლეინი ავრცელებს ქაღალდის ყალბ ფულს. ფულს წარწერა აქვს, მოხდე ეთა ტყუილებისა და ყაჩაღობის თანაბრად იხმარებაო. კლეინი ემიგრანტებს ბიუკენის მოკვლას და გაზეთ „რეჩ“-ის საროტაციო მანქანის აფეთქებას ურჩევს. ხალხს იგი საჩუქრად 200—300 მან. ჰპირდება.

**დონის მონასტრის რევიზია.**

**პეტროგრადი**, მაისის 10. (ფოსტით მიღებული და დაგვიანებულია). მოსკოვში გაგზავნილი დეკანოზი ლუბიმოვი დონის მონასტრის რევიზიას შეუდგა.

**მემამულის გაქურდვა.**

**სუმა.** მაისის 13. (დაგვიანებულია) გაჰქურდეს მემამულე სუმოვსკის სახლი და წაიღეს 9.008,600 მან. ფულად, ნივთებით და სხვა ძვირფას ქაღალდებით.

**მკვლელობა.**

**თემირ-ხან-შურა.** მაისის 9. (მიღებულია ფოსტით) მუშებმა მოჰკლეს თავის მამულში მემამულე გროზე. მკვლელობა პურის გამო ჩხუბის ნიადაგზე მოჰხდა.

**როზენტელის გაქურდვა.**

**მარიუპოლი.** მაისის 9. (მიღებულია ფოსტით) გაჰქურდეს აზოვ-დონის ბანკის განყოფილების გამგის როზენტელის სახლი. თვითონ როზენტელი დაჭრილია.

**სახადის წინააღმდეგი შრატი**

**სტოკჰოლმი.** მაისის 16. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ბაქტერიოლოგმა კიამილ-პოშმა აღმოაჩინა სახადის წინააღმდეგი შრატი, რომელმაც ჯერჯერობით კარგი ნაყოფი მოიტანა.

**კურორტების დაკეტვა.**

**ციურიხი.** მაისის 15. ფქვილის უქონლობის გამო, ჰუნგრეთის რამდენიმე კურორტი დაიკეტა.

**ვილჰელმის წინააღმდეგი ორგანიზაცია.**

**ნიუ-იორკი.** მაისის 15. აქ დაარსდა გერმანელ რესპუბლიკანელთა მომხრე ორგანიზაცია, რომელსაც აზრადა აქვს ვილჰელმის გადაყენება.

**რუსული კომიტეტი ინგლისში**

**ლონდონი.** მაისის 14. კრაპოტკინის თავმჯდომარეობით დაარსდა რუსული კომიტეტი. კომიტეტს აზრადა აქვს ინგლისს რუსეთის შესახებ სწორი ცნობები მიაწოდოს.

**ინტერნაციონალი და ფრანგი სოციალისტები**

**პარიზი**, მაისის 15. ფრანგ სოციალისტთა ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაადგინა მიიღოს რუსის სოციალისტთა მოწოდება ინტერნაციონალის მოწვევის შესახებ. საბჭომ დაადგინა გაჰგზავნოს თავისი დელეგატები სტოკჰოლმში მოსამზადებელ კრებებზე და და საგანგებო დელეგაცია რუსეთში, ამხანაგ რუს სოციალისტებთან ერთად ინტერნაციონალის მოწვევის პირობების შესამუშავებლად.

**მელლერ-ზაკომელსკის საქმე**

**პეტროგრადი.** მაისის 16. იუსტიციის მინისტრმა პერევერზოვმა წინადადება შეიტანა მთავრობაში სახელმწიფოს საბჭოს ყოფილ წევრის ბარონ მელლერ-ზაკომელსკის საქმე აღძრათო, ზაკომელსკიმ ორასი-ათასი მანეთი შესჭამა.

**ახალი სასწავლებლები.**

**სამარა**, მაისის 15. ახლო მომავალში სამარაში სატეხნიკო სასწავლებელი გაიხსნება. სოფელ სოროჩინსკში, გორსკში და ალექსეევკაში ქალების 3 და ვაჟების 4 სრულ უფლებიანი სასწავლებელი გაიხსნა.

# ქრონიკა

## კავკასია

◆ **დებულების შემუშავება.** ამიერ კავკასიის კომისარიატის საოლქო სათათბირომ უკვე დაამთავრა მილიციის მოწყობის დებულების შემუშავება. პროექტი დასამტკიცებლად კომისარიატს წარედგინა.

◆ **გაზეთი 4 ენაზე**, ამიერ კავკასიის გლეხთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი ამ დღეებში გამოსცემს საგლეხო გაზეთს ოთხ ენაზე: რუსულ, ქართულ, სომხურ, დ თათრულზე.

◆ **სახლების რეკვიზიცია.** სასურსათო სამინისტროს დადგენილებით საგუბერნიო და საოლქო სასურსათო კომიტეტებს ნება ეძლევათ, რეკვიზიციის წესით ჩამოართვან პატრონებს სახლები სურსათის მოსათავსებლად, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახლის პატრონი წინააღმდეგია ქირით დაუთმოს სახლი კომიტეტებს. სახლის ქირა პატრონებს მიეცემათ შეფასების კვალობაზე.

## საქართველო

◆ **სალამი ს ქართველთ საკათალიკოსოს.** ქუთაისის მაზრის მესამე ოლქის სამღვდელოება მათ მეუფებას, სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრეს ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს და აგრეთვე ყველა წამებულ პირთ ქართველ ერის დიდებულ ივერიის ეკლესიის გათავისუფლებულ უფლებათა აღდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის თანაგრძნობას და სიხარულს უცხადებს.

◆ **სასწავლებლის შენახვა.** დაბა აბაშის უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის საბჭო შუამდგომლობს ამიერ კავკასიის კომისარიატის წინაშე, ამ სასწავლებლის შენახვა ხაზინამ იკისროსო. შუამდგომლობა წინასწარ განსახილველად კომისარიატმა სამოსწავლო ოლქის გამგეობას გაუგზავნა.

◆ **სარწმუნოებრივი ფანატიზმი.** მართალი გამოდგა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ცნობა, რომ ზაქათალის ოლქში ქრისტიან ქართველებს ძალათ ამაჰმადიანებენ ზოგიერთი ფანატიკოსებიო. ამიერ კავკასიის კომისარიატთან არსებულ სათათბიროს მოახსენა გ. ჟურულმა, რომ სოფ. კახის ქრისტიან ინგილოებს წინადადება მისცეს ფანატიკოს მუსულმანებმა,—3 დღეში მუსულმანობა უნდა მიიღოთო. სათათბიროს გადაუწყვეტია წინადადება მისცეს კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ სასწრაფოდ შესაფერისი ღონისძიება იქმნას მიღებული ასეთ ძალმომრეობის წინააღმდეგო.

### თბილისი.

◆ სოფელ პრინევს მცხოვრებელი ივანე გაბარაშვილმა საბურთალოს კომისარიატში განაცხადა, ჩემი შვილი ხოცია (დავითი) გაბარაშვილი, 11 წლისა, ხელზედ მოსამსახურედ ჰყავდა გიორგი ლიპარტელიანს. ბავშვი 1916 წ. თებერვლის ბოლოს დაიკარგა, და თუ ვინმემ რამე იცის საბურთალოს კომისარიატს შეატყობინოს.

◆ **ვ. შალიკაშვილის საღამო.** კვირას, მაისის 21, ახალ კლუბის საზამთრო თეატრში ვ. შალიკაშვილი გამართავს მხიარულ საღამოს. წარმოდგენილი იქნება ივ. გომართლის ახალი კომედია „იასონის ოინები“ და დ. კლდიაშვილის ვოდევილი—„დარისპანის გასაჭირი“.

◆ **სამსახურიდან გადაყენება.** ქალაქის თვითმართველობის მოხელეს ტერ-დავითიანცს თანამოსამსახურეებმა წინადადება მისცეს, რომ თანამდებობიდან გადადექიო.

◆ **მ. ნ. ათაბეგოვმა**, ქალაქის გამგეობის წევრმა, თანამოსამსახურეებისა და ხელქვეითების თხოვნაზე, რომ თანამდებობას ნუ დასტოვებო, გადაჭრილი უარი განაცხადა.

◆ **ფულის გადადება ნაძალადევისათვის.** ქალაქის საბჭომ 15,000 მანეთი გადასდვა ნაძალადევიდან ნაგავის გასაზიდ ურმების შესაძენად. ნაძალადეველებმა დაადგინეს, რომ ურმები თითონვე შეიძინონ და გადადებული ფული თანდათან მოიხმარონ, საჭიროების კვალობაზე.

◆ **საქალაქო არჩევნები.** მაისის 18-ს სხდომა ჰქონდა ქალაქის საარჩევნო კომიტეტს. გადასწყდა თბილისის მცხოვრებთა ერთი დღის აღწერილობა მოხდეს. არჩეულ იქმნა კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელსაც 3 თავმჯდომარე ეყოლება—ა. ხატისოვი, ნ. რამიშვილი და ზურაბოვი.

◆ **სულთმოფენობა.** კვირას, სულის წმიდის მოფენის დღეს, სამღრთო ლიტურღია და წირვამით დაასხ ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდე, მოსაყდრე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა, შეასრულებს სიონის საკათედრო ტაძარში.

◆ **პროტესტი ადლერის სიკვდილით დასჯის გამო.** თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ და კავკასიის საფოსტო დელეგატების ყრილობამ პროტესტი განაცხადეს ფრიდრიხ ადლერის (ავსტრიელ სოც.-დემოკრატის, რომელმაც შტიურგკი მოჰკლა) სიკვდილით დასჯის გამო.

◆ **კრება.** საოლქო ყრილობა მუშათა და გლეხთა დელეგატებისა დაიწყება მაისის 21-ს, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში.

◆ **სურსათ-სანოვაგე.** მაისის 19-ს თბილისის საქალაქო სასურსათო კომიტეტს მოუვიდა: ფქვილი 16 ვაგ., ხორბალი 2 ვაგ., სიმინდი 3 ვაგონი, კარტოფილი 6 ვაგ. და ქერი 9 ვაგონი.

◆ **სასურსათო კომიტეტები და სოფლელნი.** თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს შემდეგ უკანონო მოქმედებისათვის მიუქცევია ყურადღება: სოფლებიდან ჩამოტანილ საქონელს თბილისის საუბნო სასურსათო კომიტეტები და მილიციონერები იჭერენ თურმე, პატრონებს ართმევენ და თავიანთ შეხედულობით ჰყიდიან. საგუბერნიო კომიტეტი აცხადებს საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის მილიციის საყურადღებოდ, რომ ასეთი საქციელი არსებითად ეწინააღმდეგება კანონს, რეკვიზიციის უფლება მხოლოდ საგუბერნიო კომიტეტს აქვს მინიჭებული და ამიტომ ყოველგვარ უკანონობას ეხლავე ბოლო უნდა მოეღოსო.

### ქუთაისი.

◆ **ქართველ ისრაელთა ახალგაზრდობა** თანდათანობით ირკვევა და კულტურულ წინმსვლელობას იჩენს. უკვე მოხდა დამფუძნებელი კრება. არჩეულ იქნა დროებითი გამგეობა 5 კაცისაგან. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სტუდ. ისრაილ რიჟინაშვილი, მდივნად სამსონ რიჟინაშვილი და მოლარეთ სოლომონ ციციაშვილი.

### ბათომი

◆ **ბათომის ოლქის მასწავლებელთა კავშირის ქართულმა სექციამ** აირჩია გამგეობა: თავმჯდომარედ ილია ფერაძე. წევრებად: ა. წითლიძე, თ. ჯაყელი, ალ. მგელაძე და სალომე ხიმშიაშვილი. ახალმა გამგეობამ დაავალა თავმჯდომარეს წაიკითხოს პოპულიარული ლექცია ქართული სკოლის გაეროვნულების შესახებ, ვინაიდგან ამ საკითხის გამო არსებობს ყალბი შეხედულება საზოგადოებაში. ლექციას ი. ფერაძე წაიკითხავს ბათომში, ფოთში, ოზურგეთში, ქუთაისში, ზუგდიდში, ახალსენაკში და სხვაგან თიბათვის პირველ რიცხვების შემდეგ.

### პროვინცია

◆ **მასწავლებელთა კრება.** მაისის 9 მოხდა ზესტაფონის მასწავლებელთა კრება ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის ფილიალური განყოფილების დასაარსებლად. განყოფილების გამგეობაში აირჩიეს მასწავლებლები: პ. მეტრეველი, ონ. ჭურაძე, ლ. კოჯზარიძე, ც. გველესიანის ასული და გ. ჩხეიძის ასული. ამავე დროს აირჩიეს საგამომცემლო კომისია, რომელშიაც არიან: მღ. კ. ანთაძე, პ. დეველი და ე. გაჩეჩილაძის ასული. გამგეობა უკვე შეუდგა საქმეს და პირველი კრება გამართა შაბათს, 13 მაისს.

---

### შეცდომათა გასწორება

გუშინდელ ვ. გარრიკის წერილში შემდეგი კორექტურული შეცდომებია. „ჩვენი თეატრი გვაგონებს საფრანგეთის მეთერთმეტე საუკუნის დამლევ თეატრს“, უნდა იყოს: „ჩვენი თეატრი გვაგონებს საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის დამლევ თეატრს“. შემდეგ სწერია „ლიუდოვიკ მეთორმეტე“ უნდა იყოს „ლიუდოვიკ მეთოთხმეტე“ კიდევ: „თეატრის გარშემო უნდა იდგნენ საქმის ახლო მცოდნე პირები და არა პიროვნებანი“ უნდა პიროვნებანის მაგივრად პროფანები იყოს.

# ეროვნულ-დემოკრატული პარტია

**საპარტიო კრება სამტრედიაში.**

კვირას, მაისის 14-ს, მოხდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კრება. კრებაზე მოწვეული იყვნენ ამხ. ვასილ წერეთელი და სპ. კედია. კრება მრავალ-რიცხოვანი იყო. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა სპ. კედია, რომელიც მიესალმა კრებას და შემდეგ განუმარტა დამსწრეთ ჩვენში არსებულ პარტიათა პროგრამები. განსაკუთრებით დიდხანს ესაუბრა მათ საგრარო საკითხზე. განუმარტა სოციალისტურ პარტიათა შეხედულება ამ საკითხზე და შემდეგ შეეხო ამ საკითხს ჩვენი პარტიის თვალთსაზრისით და აღიარა კერძო საკუთრების აუცილებლობა, რადგან კერძო საკუთრება შრომის ხალისს აქეზებს და მამულის პატრონს ათასგვარ შევიწროებისგან ანთავისუფლებსო. მასთან ერთად კერძო საკუთრება წყაროა თავისუფალი შემოქმედებისა და წარმოების გაუმჯობესებისაო. შემდეგ ილაპარაკა ვ. წერეთელმა, რომელიც შეეხო ჩვენს პოლიტიკურ მრწამსს და მდაბიურის ენით აუხსნა დამსწრეთ ავტონომიის აუცილებლობა; მასთანვე ხაზი გაუსვა ს.-ფედ. ორპირობას. კრებამ ორთავე ორატორი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

შემდეგ კრება გადავიდა პრაქტიკულ საკითხებზე.

კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, რომ აუცილებლად საჭიროა დაარსება ადგილობრივ კომიტეტისა და ბიუროს გახსნა, რაიც სისრულეში მოიყვანა. არჩეულ იქმნა კომიტეტი. კომიტეტში შედის 10 კაცი. მათ შორის თავმჯდომარეთ აირჩიეს ვ. ბარველი, მის ამხანაგათ პეტ. ჭეიშვილი, მდივნათ ივ. კანდელაკი და მოლარეთ სტ. სტურუა.

ბიუროს გახსნის დრო კი მიენდო ადგილობრივ კომიტეტს.

**ივ. ვარდოშვილი**

**ზესტაფონის ორგანიზაცია**

ზესტაფონის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტმა წევრთა რეგისტრაციის მოსახდენად აირჩია კომისიები ქალთა წრისა და წევრთაგან. ამავე კომიტეტს განზრახვა აქვს გამართოს ლიტერატურული საღამო ამა მაისის 20-ს, რისთვისაც მოწვეული არიან ქ.ქ. თბილისიდან და ქუთაისიდან საჭირო პირები.

**ფოთის ორგანიზაცია.**

პარასკევს, მაისის 6, გაიხსნა ეროვ-დემოკრატიული პარტიის კლუბი.

ყოველ კვირას იმართება კრება და იკითხება მოკლე ლექციები საპროგრამო საკითხებზე. ამ მოკლე ხანში გადაწყვეტილია მოეწყოს წარმოდგენა პარტიის ფონდის გასაძლიერებლად.

# საქალაქო არჩევნების ახალი კანონი

ამ დღეებში ახალი დებულება გამოცხადდა საქალაქო დაწესებულებების არჩევნისა. ამ დებულების ძალით განურჩევლად ყველა მცხოვრებმა ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში ფართო მონაწილეობა უნდა იქონიოს. ასეთნაირი დემოკრატიული არჩევნები ამჟამად არსად არის არც ევროპაში და არც ამერიკაში.

ზემოხსენებულ დებულების მიხედვით არჩევნებში მონაწილეობს ყველა სრულწლოვანი, ვისაც თავისი სახელი ამა თუ იმ სასტიკ დანაშაულით არ შეურცხვენია და რომელსაც სასამართლოს მიერ საარჩევნო უფლება არა აქვს წართმეული.

საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველას, ვინც კი 20 წლისაზე ნაკლები არ არის და ამასთანავე ამათ უფლება აქვთ როგორც სხვისი არჩევისა აგრეთვე იმისი, რომ თითონაც იყოს არჩეული. კანონში არ არის აღნიშნული ბინადრობის ცენზი, ასე რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველას აქვს და მათ შორის ჯარის კაცებსაც. თითო მოქალაქეს და ქალსა თუ კაცს (საყოველთაო არჩევნები) აქვს თითო ხმა (თანასწორი არჩევნები). ხმოსნების არჩევა პირადი მონაწილეობით ხდება და არა დავალებულია საშუალებით (პირდაპირი არჩევნები). ხმას ბარათებით მისცემენ (საიდუმლო არჩევნები) რიცხვი ქალაქის გამგეობის ხმოსნებისა ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით იქნება განსაზღვრული. რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო მეტი ხმოსანი იქნება არჩეული.

წინასწარი გამოანგარიშებით თბილისის ქალაქის გამგეობაში აირჩევენ 120 ხმოსანს.

რომ ქალაქის ერთი კუთხეც არ დარჩეს უხმოსნოდ, ამისთვის არჩევნების დროს მიღებული იქნება ეგრედწოდებული პროპორციალი სისტემა. ეს მეტის მეტად დემოკრატიული სისტემა შეიცავს შემდეგს:—დანიშნულ დრომდე არჩევნამდე მოქალაქენი წარუდგენენ ქალაქის თავს ასარჩევ ხმოსნების სიას. ხმოსნების გვარები სიაში ასე იქნება აღნიშნული: ყველაზე უფრო სასურველი პირველად და შემდეგ მიყოლებით. ყველა ქალაქის უბანის სიას ქალაქის გამგეობა დანომრავს და გაზეთებში გამოაქვეყნებს. არჩევნების დროს მოქალაქენი დაწერილ ქაღალდის საშუალებით ხმას აძლევენ რომელიმე სიას და აღნიშნავენ სიის ნომერს.

ხმის მიცემის შემდეგ სუყველა სიის ხმას დასთვლიან და შემდეგ თითო სიისას ცალკე. ვთქვათ ყველა სიამ მიიღო 200.000 ხმა და სიამ № 5 კი 40.000 ხმა, ამიტომ № 5 სიიდან ხმოსნებად ითვლებიან არჩეულნი 200000 : 40000,=5, ე. ი. ერთი მეხუთედი ხმოსნების მთელი რიცხვისა და რადგანაც თბილისის ქალაქის გამგეობაში საერთო რიცხვი ხმოსნებისა 120 უნდა იყოს, ამიტომ 120 : 5=24 ხმოსანი. ამ რიგად № 5 ხმოსნად გავა პირველი 24 გვარი.

თუ მაგალითად № 8 სიას ერგო 10.000 ხმა, ამ სიიდან ხმოსნებად უნდა აირჩიონ 200000 : 10000=20, ესე იგი ერთი მეოცედი, ანუ 120 : 20, ე. ი. 6 ხმოსანი. ასეთნაირ არჩევნების მიხედვით ქალაქის სულ მცირე-რიცხოვან უბანს თავისი წარმომადგენელი ეყოლება ქალაქის გამგეობაში. ასეთნაირ სიების მიცემა შეუძლიათ სხვა და სხვა კუთხეს ეკონომიური, პოლიტიკური, ეროვნული ან ტერიტორიალური მხრის მიხედვით. ამ შემთხვევაში სულ მცირე ჯგუფსაც ექნება თავისი ხმა ქალაქის გამგეობაში. არჩევნები რომ პროპორციონალური არ ყოფილიყო, მაშინ ძლიერეს ჯგუფს შეეძლო ქალაქის გამგეობაში მხოლოდ თავის წარმომადგენლების გაყვანა და უდიდესი ნაწილი ქალაქისა მოკლებული იქნებოდა ხმას.

ასეთია ახალ საქალაქო არჩევნების რეფორმის უმთავრესი დებულებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეგნატე ნინოშვილი

ხვალ, მაისის 21-ს, ეგნატე ნინოშვილის საფლავზე, გურიაში, სოფ. ჩანჩეთში გადაიხდიან სამოქალაქო პანაშვიდს, გაიმართება ეგნატეს ხსოვნის პატივსაცემი მიტინგი და აკურთხებენ ეგნატეს სახელობაზე აგებულ სამკითხველოს. ეგნატეს ხსოვნის პატივსაცემი მიტინგი გაიმართება ხვალ ბათომშიაც. 23 წელიწადია, რაც ეგნატე გარდაიცვალა, მაგრამ სიკვდილმა ის მშრომელ გლეხობას ვერ დაავიწყა, პირიქით, რამდენადაც დაბალ ხალხში წერა-კითხვა ვრცელდება, ეგნატეს იმდენად მეტად აფასებენ და იყვარებენ. ეს არც საკვირველია— ეგნატე თვით გლეხი იყო, სოფლელი, გლეხისა და მუშის ჭირ-ვარამი თვით განიცადა და თავისი სულიერი განცდა სადათ, მარტივათ, უფერადსადებავოთ ასწერა და მით გლეხს გულში ჩასწვდა—ამიტყველა მუნჯაძე და ღიშვილები. დიდია ეგნატეს ღვაწლი, იმან თავისი მოთხრობებით ხალხს წერა-კითხვა შეაყვარა, თვალი აუხილა, ჩამოაშორა მოსე მწერლებს, დროიძე-მკლავაძეებს და შეათვისა მცირიშვილებს. ეგნატემ შექმნა მთელი სკოლა. ახალგაზდობა ეგნატეს ნაწერებით გატაცებულნი თვით ჰკიდებენ კალამს ხელს და მისდევენ ეგნატეს მიერ გაკაფულ ეკლიან გზას. ეგნატეს არ დასცალდა სავსებით ეთქვა რის თქმაც სურდა—ის სიჭაბუკეშივე გარდაიცვალა. გარდაიცვალა ტანჯვის შვილი ტანჯვაში, შიმშილში, მაგრამ არ დაიკარგა ამაოდ მისი ღვაწლი და აჰა მადლიერი და გათვითცნობიერებული ხალხი მის საფლავზე დღეს მოწიწებით მუხლს იდრეკს და მის მოჭირნახულეს თაყვანსა სცემს.

სრული იმედია მისით მოამაყე მეზობლები მის სოფელში მისი სახელობის სამკითხველოს გახსნით არ დაკმაყოფილდებიან და იქვე გახსნიან ეგნატეს სახელობის სამეურნეო სკოლას. მუშა ხალხის მოტრფიალე ეგნატეს პატივისცემა იქნება შეგნებულ მუშა-მეურნეების გაქრავლება.

ა. წ.

## ფოთელების პროტესტი ვენიშევიჩის წინააღმდეგ

ფოთის ქალაქის საბჭომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და სინოდის ობერ-პროკურორს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ქალ. ფოთის საბჭო და მცხოვრებნი ღრმად აღელვებულნი პროტესტს უცხადებენ ვენიშევიჩის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციას საქართველოს ეკლესიის ექსტორიტორიალურ ავტოკეფალიის შესახებ. წინედ საქართველოს ეკლესიის უფლების დარღვევა მღაღადებელი უსამართლობა იყო, მაგრამ იგი შექმნილ იყო უბრალო მეომრის უხეშ ძალით და, იმ მთავრობის მიერ, რომელიც იმპერიის ყველა ერების უფლებებს ფეხით სთელავდა, მაგრამ ეს ისე საწყენი არ იყო ქართველებისათვის, როგორც ის, რომ დროებით მთავრობამ აღიაროს ექსტერიტორიალური, ანტიკანონური, მხოლოდ საქართველოსთვის მოგონებული პრინციპი ავტოკეფალიისა. ეს იმიტომ არის საწყენი ქართველებისათვის, რომ ესეთ პრინციპს თავს გვახვევს პროფესორების საუკეთესო წარმომადგენელი, კაცი, რომელმაც საქართველოს საეკლესიო კულტურის მეგობრის სახელი მოიხვეჭა და მთავრობა, რომელშიაც რუსეთის საუკეთესო შვილნი არიან თავს გვახვევენ მაშინ, როდესაც სვინდისის თავისუფლებაა გამოცხადებული, თავს გვახვევენ ამას ჩვენ, ქართველებს, რომლებსაც ასი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ რუსეთის ხალხისადმი ერთგულება და სიყვარული მრავალჯერ დავამტკიცეთ.

ქალაქის საბჭოს იმედი აქვს, რომ დროებითი მთავრობა სამართლიანობისა და მის მიერ აღიარებულ სარწმუნოებრივ თავისუფლების სახელით, უარს არ იტყვის საქართველოს ტერიტორიალურ ავტოკეფალიაზე.

ქალაქის თავის მოადგილე

ტყემალაძე.

## საუღელტეხილო რკინის გზა

როგორც ვიცით, ამ ჟამად უღელტეხილის რკინის გზის გაყვანის გეგმას ადგენენ. ამის შესახებ ბჭობა კარგად მიდის და მოკლე დროში საკითხი სავსებით გადასწყდება. ამიტომ მგონია ყურადღებას არ უნდა იყოს მოკლებული იმის მოგონება, თუ ამ ჟამად კავკასიის უღელტეხილზე რა და რა გზები გადის, ვინაიდან ერთ-ერთ ამ გზეს მომავალი რკინის გზა ვერ ასცდება. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ამ უღელტეხილზე მხოლოდ ერთად ერთი გზა იყო—დარიალის მხრით—სადაც რუსებმა თავიანთი პირველი დამხმარე ჯარი გამოატარეს. მაგრამ ეს გზა მეტის-მეტად ცუდ პირობებში იყო, და ეს გზა ჯარების სასიარულოდ არც საკმარისი იყო და არც მოსახერხებელი. ამიტომაც საქართველოს შეერთების შემდეგ თავდაპირველად გზების გაყვანას შეუდგნენ. ამ ჟამად კავკასიის უღელტეხილზე შემდეგი გზებია: 1) საურმე გზა ნოვოროსიისკიდან ანაპაში სარაჩაისის ქედით, რომელიც ძალიან მაღალია. 2) რკინის გზა ნოვოროსიისკიდან ეკატერინოდარში, რომელიც ქედზე გადადის. მას ორ დიდ გვირაბში უხდება გავლა. 3) გზა-ტკეცილი ნოვოროსიისკიდან ნებერდჯაევსკში მარკხოდის და ნებერდჯავაევის ქედებით. 4) საურმე გზა ს. დჟუბგიდან ეკატერინოდარში შამანოვის ქედით. ეს გზა მეტის-მეტად სახიფათოა, ვინაიდან ქედზე ხშირად იცის ზვავი. 5) რკინის გზა მაიკოპიდან ტუაპსეში. 6) გზატკეცილი ტუაპსედან მაიკოპში გოიხტის ქედით. 7) გზა სოხუმიდან ბატალპაშინსკში კრუხორის ქედით.

ეს გზა სამ ნაწილად იყოფა. პირველი გზა-ტკეცილი სოხუმიდან სოფელ ცებელდის საზღვრამდე. ვინაიდან სოფელ ცებელდიდან უშველებელი მთა-გრეხილი იწყება, ამიტომ გზა აქ სწყდება და მის ნაცვლად მთაგრეხილზე ბილიკი იწყება. ეს ბილიკი ამ მთა-გრეხილზე სულ მაღლა და მაღლა მიდის და შავი ზღვის ნაპირებიც მოსჩანს. თვით ეს ბილიკი და მისი ახლო-მახლო ადგილები ლამაზია. ეს ბილიკი სწყდება მდინარე თებერდის შესართავთან, საიდანაც საურმე გზის გაყვანაა შესაძლებელი. 8) დიდი გზა მიდის ქუთაისიდან ალაგირის სადგურში. ეს გზა გაკეთდა მაშინ, როდესაც სხვა გზები ხიფათშიიყო. ამ გზის წყალობით მჭიდრო კავშირი იყო საქართველოსთან და სურსათ-სანოვაგე ამ გზით მიქონ-მოჰქონდათ. ამ გზეს სახელად ოსეთის სამხედრო გზა ჰქვიან. ეს გზა საურმე გზაა, რომელიც ქუთაისიდან მიდის დაბა ონამდე. ონის შემდეგ იწყება დიდი ქედი, ამიტომ საურმე გზა აქ სწყდება და მის ნაცვლად დიდი ბილიკი იწყება. ეს ბილიკი სჭრის ამ დიდ უშველებელ კავკასიის ქედს, რომლის სიმაღლეც 7977 ფუტს აღწევს და მთაგრეხილით კავკაზში ჩადის. აქედან კვლავ იწყება საურმე გზა, რომელიც ალაგირში მიდის. ალაგირში სწყდება ეს ოსეთის სამხედრო გზა. 10) მეტის მეტად ლამაზი გზაა საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც დარიალის ხეობას სჭრის. ეს გზა ისე კარგათ არის მოწყობილი, რომ ამ ჟამად იქ ავტომობილების მიმოსვლაა გამართული. არის იმის შანსები, რომ მომავალი რკინის გზა, ამ გზით იქნება გაყვანილი. ეს გზა თბილისიდან კავკავამდე მიდის. 11) საურმე გზა სოფელ საბუედან მიდის ალაზნის ხეობიდან კოდორის ქედზე. ეს გზა ეხლა დანგრეულია და ზედ უკიდურეს შემთხვევაში დადიან. 12) საურმე გზა ავაროკახეთისა, რომელიც ალაზნის ხეობიდან იწყება და ვანტლიაშეტის ქედზე გადადის. სხვა გზებიც გადადის კავკასიონის ქედზე, მაგრამ მათ არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ, ვინაიდან მხოლოდ ბილიკებია და მცხოვრებნიც ამ გზებით უკიდურეს შემთხვევაში სარგებლობენ. ჩვენ თითქმის ყველა გზები ჩამოვთვალეთ, რომელნიც კი ამ კავკასიონის ზღაპრულ ქედს სჭრის და რომელზე იქნება გაყვანილი რკინის გზა, ჩვენ ჯერ არ ვიცით. ერთი კი ცხადია, ამ მოკლე ხანში ამიერკავკასია უღელტეხილის რკინის გზით შეუერთდება რუსეთის რესპუბლიკას... როდის და რა გზით განხორციელდება ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

მ. ხაირხელი.

## კორესპონდენცია

### ცხინვალის კოოპერატივი

დ, ცხინვალი. აპრილის 27 ამა წლის აქ მოხდა ხელმეორე კრება, რომელმაც განიხილა „ცხინვალის კოოპერატივის“ შესავალ-გასავალი და საერთო მდგომარეობა. აღმოჩნდა. რომ დღიდგან დაარსებისა, 9 ოქტომბრიდან 1916 წლისა, აქნობამდინ 990 წევრი ჰყოლია, რომელთაც საპაიო ფული უხდიათ ხუთ-ხუთი მანეთი და საწევრო თითო მან. მოქმედება კოოპერატივს დაუწყვია 1800 მანეთით. თვიური ხარჯი სახლის ქირაზედ და მოსამსახურეების ჯამაგირებზე აქვს თვეში 150 მან. და ამ საშუალებით თავს ოპერაციის წარმოებით წმინდა მოგება დარჩენია ექვსი თვის განმავლობაში 1500 მან. ამასთანავე უნდა მოვიხსენიოთ, რომ როდესაც ვაგონობით ფქვილის ან სიმინდის ყიდვა დასჭირდებოდა ხოლმე კოოპერატივს, ადგილობრივი ვაჭრები, განურჩევლათ ეროვნებისა, უსარგებლოთ ათხოვებდნენ ხოლმე გამგეობას თავის ფულს 1000—2000 მანეთობით და ამით კოოპერატივს დიდ შემწეობას აძლევდნენ, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან ეს ხსენებული ვაჭრები. მაინც 1500 მან. წმინდა მოგება დიდ მოგებათ უნდა ჩაითვალოს ამ ცოტა ხნის განმავლობაში, 5—6 თვეში; მაგრამ უფრო დიდ მოგებათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ხალხმა ამ საშინელი სიძვირის დროს შედარებით ნაკლებ ფასებში მოახერხა კოოპერატივისაგან საჭირო საგნების ყიდვა და ადგილობრივმა ჩარჩებმაც გაბედულად ველარ აუწიეს ფასები იმ საგნებზედ, რომელიც კოოპერატივში იყიდებოდა. დიდი გაჭირების დროს კოოპერატივმა ნაკლებ ფასებში მიაწოდა დამშეულ ხალხს სანოვაგე, ფქვილი და სხვა და მით გადაარჩინა ღარიბი ხალხი. შეგნებულმა ნაწილმა საერთო კრებისამ მადლობა გადაუხადა ძველ გამგეობის წევრებს, რომელიც იყვნენ სულის ჩამდგმელნი ამ სასარგებლო დაწესებულებისა, თავის უანგარო წმინდა შრომისათვის. სამწუხაროდ აღმოჩნდნენ ისეთი პირნიც, რომელნიც პირადი ინტერესით და ქვენაგრძნობით იყვნენ გატაცებულნი და ხაზიზღარ პროვოკაციას ეწეოდნენ კოოპერატივისა და მის მუშაკთა წინააღმდეგ. ავრცელებდნენ ხმას, რომ ამათ კოოპერატივის ფული სულ შეჭამესო, საქონელი გაიტაცესო და სხვა.. მაგრამ როდესაც რევიზიამ კრებაზედ გამოარკვია, რომ ზარალი კი არა, პირიქით დიდი მოგება 1500 მ. დარჩა კოოპერატივსა და არაფერ უწესოებას და ბოროტმოქმედებას არა ჰქონია ადგილი კოოპერატივშიო, კოოპერატივის მტრებს შერცხვათ, მაგრამ მაინც ვერ მოითმინეს და კოოპერატივის ერთ სულის ჩამდგმელთაგანს დეკანოზს იროდიონ ოქროპირიძეს ლაპარაკი შეაწყვეტინეს და ყვედრება დაუწყეს: რა მღვდლის საქმეა ვაჭრობა, რომ ერევიო? რათ გინდოდათ ვაგონობით ნავთის, რომ ყიდულობდით და ღარიბ ვაჭრებს, რომელნიც ნავთის ვაჭრობით ლუკმასა შოულობდნენ—ლუკმას ართმევდითო? თქვენი მოგება ისევ თქვენ დაგრჩეთ, ჩვენი ფულები დაგვიბრუნეთ, კოოპერატივის საქონელი გავიყოთ და ეგ დუქანი დავკეტოთო და სხვა. კრების თავმჯდომარემ, ახალმა მოსამართლემ, ბატონმა რაჟდენ გაგუამ შესაფერისი პასუხი გასცა მათ და კოოპერატივის მნიშვნელობა აუხსნა. მოხდა ახალი წევრების არჩევნები, რადგანაც ძველებმა აღარ მოინდომეს სამსახური და უმადურ პირთა უსიამოვნობას და მათგან ჩირქის მოცხებას მოერიდნენ. ახალ გამგეობაში შესაფერისი პირები გავიდნენ. ამ კოოპერატივს, თუ შეიფერეს ცხინვალელებმა, დიდი დახმარება შეუძლიან გაუწიოს არამც თუ მარტო ცხინვალს, არამედ მთელს რაიონსაც.

მოკეთე.

—

### ბოდბის მონასტერი

ქ. სიღნაღი. სიღნაღიდან აღმოსავლეთით ვერს-ნახევარის მანძილზე ს. ქედელას დაბლა ცივ გომბორის კალთებზედ გაშენებულია წმინდა ნინოს მონასტერი. საყდარი ააშენა მეფე მირიანმა 338 წელს მთავარ მოწამის გიორგის სახელობაზედ, ამ ეკლესიაშივე ასაფლავია გვამი წმინდა ნინოსი. შემდეგში ვინმე გიორგიმ გაამშვენა ეკლესია, გარეშემო გალავანი შემოარტყა და სხ., ამ გიორგის შესახებ ისტორია არაფერს ამბობს, ვინ იყო ან სადაური, მხოლოდ ეკლესიის კედელში აღმოსავლეთის მხარეს დაყოლილია სიპი ქვა, რომელსაც აწერია: „მე გიორგიმ გავამშვენე ესე ეკლესია“, ასოები ელინურ-ფინიკურია. 1823 წ. მიტროპოლიტმა იოანე ბოდბელმა ეკლესია ხელ-მეორედ შეაკეთა: კედლები დაახატვინა, ეკლესიას მარჯვნივ და მარცხნივ კარის ბჭები მიუშენა, გუმბათები დაადგა და კანკელი გამოუცვალა. თვით ეკლესიას 20 საჟენის სიგრძე-სიგანის გალავანი შემოარტყა. ამ გალავანში იყო ორი ქვით აშენებული სახლი მონაზონებისათვის: პირველი აღმოსავლეთის მხრით სიგძით 24 არშინი—სიგანით 8 არშინი ოთხი სენაკით. ჩრდილოეთით იყო მიტროპოლიტის სახლი ორ სართულიანი, სიგძით 34 არშინი, სიგანით 18 არშინი. დაბლა სართულში მოთავსებული იყო სენაკები და სამლოცველოები, მაღლა სართულში თორმეტი ოთახი და ეკლესია ღვთისმშობლის სახელობაზე. ეს ეკლესია ეხლა დატანებულია სკოლის შენობის ქვეშ ხელუხლებლივ, მხოლოდ მის გარშემო შენობები დანგრეულია. აღმოსავლეთის მხარეს იყო ქვის შენობა (ქვის ოთახი; სიგრძით 27 არშინი, სიგანით 9 არშინი. მის ახლო ქვისავე სარდაფი. მიტროპოლიტის სახლის წინ გაშენებული იყო ხილის ბაღი. გალავანს გარეთ აღმოსავლეთ-სამხრეთ შუა გაშენებული იყო ფიცრული თითო სართულიანი შენობები. აქ მოთავსებული იყო სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლები. ეს შენობები აშენებულია მიტროპოლიტ იოანე ბოდბელისაგან. ამ შენობებში ზოგი ხელუხლებელია ეხლაც, მხოლოდ რაც რუსის მონაზონები დამკვიდრდნენ, მათ ზოგი შენობები დაანგრიეს და იმ ადგილზედვე სხვა შენობები გააკეთეს, მხოლოდ მასალას ისევ ძველს ახმარებდნენ. მონასტერს შემდეგი ადგილები ჰქონდა: ზვარი, ალაზანზედ და ნასომხარში სახნავი მიწები, ტყე, წისქვილი, და თვით მონასტრის გარეშემო ტყე და მინდორი. ეს ადგილები ეხლაც მონასტრის საკუთრებას შეადგენენ და წელიწადში არა ნაკლებ ხუთასი თუმნის შემოსავალს აძლევს.

დღიდან რუს მონაზონების დასახლებისა 28 წელიწადია, მაშასადამე ამ 28 წლის განმავლობაში ამ ადგილებს მონასტრისათვის მიუცია 140,000 მ.

გ. კოლელიშვილი.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | საღ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.33 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. № 3***, | 8.10 | დილ, |

## კახეთის რკინის გზა

საფოსტო მატარებლების მიმოსვლა I, II, III კლასის ვაგონებით.

(დრო ადგილობრივია)

**თბილისიდან** ყოველ დღე მიდის დილის 8 საათ.

**გურჯაანის** სადგურზე მოდის ნაშუადღევის 2 საათზე და 20 წ.

**გურჯაანის** სადგურიდან მიდის თელავისაკენ ნაშუად. 2 საათ. და 40 წ. თელავში მოდის საღამოს 4 საათზე.

**გურჯაანიდან** მიდის წნორის-წყლის სადგურისკენ 3 საათ.

**წნორის-წყლის** სადგურზე მოდის საღამოს 4 საათ. და 10 წ.

---

**თელავის** სადგურიდან მოდის ყოველ დღე დილის 10 საათზე 15 წუთზე.

**გურჯაანის** სადგურზე მოდის დილის 11 საათ. და 35 წუთ.

**წნორის-წყლის** სადგურიდან მოდის გურჯაანისაკენ დილის 10 საათზე და 32 წუთზე.

**გურჯაანის** სადგურზე მოდის დილის 11 საათზე და 30 წ.

**გურჯაანის** სადგურიდან მოდის თბილისისაკენ ნაშუადღევის 12 საათზე.

**თბილისის** სადგურზე მოდის საღამოს 5 საათზე და 26 წ.

გოლოვინის პრ. და ხამხელის ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. ი. ზარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მელიქოვის ქ. № 4. (ი.—202—)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

ბალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 8.

ექიმი

მ. ვ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

ექიმი ქალისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

გ. გ. მესხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, მეორე სართული, ტელ. 9—53.

ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 123, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანჯანოვისა).

[illegible] ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი [illegible], საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანისა, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—9 საათამდე. ტრამვაის „914“ და „506“ [illegible]

იყიდება ახლად მიღებული

ფ ა რ ა ნ ი

(ვ ო ბ ლ ა)

ბითუმად და წვრილად

მისამართი: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 80 და ოლღას ქუჩა № 36.

3—645—3

საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსეარულ ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საადამდე.

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპისოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსავლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

(291—30)

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ვდოვ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მალოსოლ“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველნაირი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპიძე.

სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“.